პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 4 (5105) | ოთხშაბათი, 5 იანვარი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში ჩამორჩენა შეუწყნარებელია (მოწინავე).
საქ. კ. პ. (ბ) იაროსლავლის ქალაქკომის არასწორი დადგენილების შესახებ. — საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (1-ლი გვ.).
ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ საგაზაფხულო თესვის მზადებას (1-ლი გვ.).
საინფორმაციო ცნობა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მორიგი პლენუმის შესახებ (1-ლი გვ.).
საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა („პრავდის" მოწინავე, მე-2 გვ.).
ი. გედევანიშვილი — „ვეფხის-ტყაოსნის" სამხედრო ხელოვნება (მე-3 გვ.).
„ვეფხის-ტყაოსნის" გენიალური შემოქმედის ხსოვნას. — აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია (მე-3 გვ.).

უცხოეთში:
საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-2 გვ.).
მეამბოხეთა ყალბი რელაციების უარყოფა (მე-2 გვ.).
პოლიტიკური პროცესები ბავარიაში (მე-2 გვ.).

## საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში ჩამორჩენა შეუწყნარებელია

აისხლჭარბია საბჭოთა საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება. გასული წლის უხვმა მოსავალმა, რომელიც კოლმეურნეობებმა მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების — საკოლმეურნეო ცხოვრების ამ უმაღლესი კანონის—ურყევად გატარებით, ცხადჰყო მსხვილი სოციალისტური მეურნეობის უდიდესი ძალა. საქართველოს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ბეღლები ხვავითა და ბარაქით აივსო.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებმა სოფლად, ისევე როგორც ქალაქად, არაჩვეულებრივი პოლიტიკური და საწარმოო აქტიობა გამოიწვია. კოლმეურნე გლეხობამ, ერთსულოვნად მისცა რა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ცხადჰყო თავისი უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი.

სოციალიზმის ქვეყნის ცხოვრების ბოლშევიკური კანონია—არ დავკმაყოფილდეთ მიღწევებით. ახლა ამოცანა სოფლის მეურნეობის დარგში ის არის, რომ განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებანი და ბოლშევიკური შეუპოვრობით ვიბრძოლოთ ახალ ბრწყინვალე გამარჯვებათა მისაღწევად. დადგა დრო, როცა მტკიცე საძირკველი უნდა ჩაეყაროს კიდევ უფრო მაღალ და მყარ მოსავალს, ვიდრე ეს შარშან იყო. ყოველივე ეს მთელი სიმკვეთრით აყენებს საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადების საკითხს.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ თესვისათვის მზადების ახლანდელი ტემპები ამ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც მითითებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის უკანასკნელ დადგენილებაში საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, ადგილი აქვს საბჭოთა საქართველოშიც.

ადგილობრივი ორგანოების უდარდელობისა თუ მოუქნელობის შედეგად თესვისათვის მზადება საქართველოში ძალიან სუსტად მიმდინარეობს. ჩანს, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა ეს სამუშაო თვითდინებას მიანდის.

მიწსახკომის ნაკრები ცნობა, რომელიც დღეს „კომუნისტში" იბეჭდება, მოწმობს, რომ ტრაქტორების შეკეთებაში დიდი გარღვევაა.

ტრაქტორების რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა ფაქტიურად ჩაშლილია. მტს-თა დირექტორებისა და მიწგანების ცუდი ატესტაციაა ის, რომ პირველი იანვრისათვის 661 ტრაქტორიდან შეკეთებული იყო მხოლოდ 243 ანუ გეგმის 36,8 პროცენტი. რაღა ითქმის საგარეჯოს მტს-ზე, რომელსაც ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 9,1 პროცენტით! ასეთივე მდგომარეობაა წეროვნის მტს-ში. კასპის მტს-ს მეოთხე კვარტალის გეგმა შესრულებული აქვს 23,3 პროცენტით. გურჯაანის, ბაშკიჩეთისა და ულიანოვკის მტს-ებში კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა. ამ მტს-ების ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობით სარემონტო სახელოსნოებში არ არის დამყარებული ბოლშევიკური წესრიგი, მთელ რიგ სახელოსნოებში არ არის შექმნილი მუშაობის პირობები, ტრაქტორისტთა ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. განა ამ მტს-თა ცუდი მუშაობისათვის პასუხისმგებელი არ არიან ზემოჩამოთვლილი რაიონების პარტრაიკომები და რაიაღმასკომები?

საქმიწსახკომი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ საკმაო დახმარებას და ნამდვილ ოპერატიულ ხელმძღვანელობას ვერ უწევს მტს-ებს ამ სერიოზული გარღვევის გამოსწორების საქმეში. არ შეიძლება არ აღინიშნოს „საქსოფლმომარაგების" და ავტოსატრაქტორო მრეწველობის სამმართველოს („გუტაპი") ხელმძღვანელთა უსულგულო დამოკიდებულება სარემონტო კამპანიისადმი. კორესპონდენტთა სიგნალები ადგილებიდან მოწმობენ, რომ „საქსოფლმომარაგება" აჭიანურებს ადგილებისათვის რკინისა და ნახშირის მიწოდებას, ხოლო „გუტაპი" ხშირად უარს ეუბნება ამა თუ იმ მტს-ს იმ ნაწილზე, რომელიც მას თბილისის საწყობში მოეპოვება. „საქსოფლმომარაგებისა" და „გუტაპის" ხელმძღვანელ მუშაკებს ალბად ჰგონიათ, რომ მათი სამუშაოს ვიღაც სხვა შეასრულებს.

თესვისათვის მზადების ერთერთ მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს თესლის დროულად მომზადება. მიწსახკომის პირველ იანვრის ოპერატიული ცნობები მოწმობენ, რომ ამ მხრივ აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ამ რიცხვისათვის მარცვლეულისა და ცერცვოვანი კულტურების თესლის გამოყოფა დაწყებული არ იყო ცაგერის, ზესტაფონის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონებში. ნუთუ ეს მდგომარეობა არ არის ცნობილი ამ რაიონების ხელმძღვანელი მუშაკებისათვის?

ცუდი მდგომარეობაა თავთავიანი მარცვლეულის გაწმენდის მხრივ. თესლის გაწმენდის რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 25,2 პროცენტით. აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში სერიოზული ყურადღება არ ექცევა თესლის გაწმენდას. ეს სამუშაო მეორეხარისხოვან საქმედ არის მიჩნეული, ეს ყოვლად შეუწყნარებელია. გამოკვლევამ დაადასტურა, რომ სათესლედ გამოყოფილი 65.983 ცენტნერი საგაზაფხულო ხორბლიდან არაკონდიციურია 23.925 ცენტნერი. ამაში ბრალი მიუძღვის ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებს, რომელნიც არ დაინტერესებულან თესლის გაწმენდით.

უყურადღებოდ არის მიტოვებული თესლის გადაცვლის საკითხი კოლმეურნეობათა შორის. რაიმიწგანები და მტს-ები ამ მხრივ შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენენ.

ხალხის უკვე გამომჟღავნებული მტრები, კონტრრევოლუციონერები ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები და მავნებლები განზრახ აფერხებდნენ რემონტის საქმეს და თესვის მომზადებას, ფუშავდნენ ჯიშიანი თესლით თესვის საქმეს. ეს გვიკარნახებს გაათკეცებული ენერგიით აღმოვფხვრათ მავნებლობის შედეგები და ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ—აი რას მოითხოვენ ჩვენგან პარტია და ხელისუფლება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებიდან სათანადო დასკვნები უნდა გავაკეთოთ. საჭიროა დაწესდეს მტკიცე კონტროლი ტრაქტორთა რემონტის ხარისხზე და თესვისათვის თესლის სანიმუშოდ მომზადებაზე. შესრულების შემოწმების საკითხები მოქცეულ უნდა იქნას ყურადღების ცენტრში. გახურებული შანთით უნდა ამოვწვათ კლასობრივი მტრის ნაბოლარები, რომელნიც შეეცდებიან ხელი შეგვიშალონ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებათა გატარებაში.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ კოლმეურნეთა მასების და საბჭოთა მეურნეობების მუშების გაზრდილ საწარმოო აქტივობას. ფართოდ უნდა მოეწყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო თესვისათვის სანიმუშოდ მომზადებაზე. რაიონებში გადაჭრით უნდა გაძლიერდეს პარტიული ხელმძღვანელობა სოფლად სტახანოვური მოძრაობის შემდგომი აღმავლობისათვის, კიდევ უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ მასობრივ-პოლიტიკური აგიტაცია. უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები და პრესა ამ საკითხს ჯერ კიდევ ვერ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. პრესა ვალდებულია შეჯიბრების მოთავე იყოს, რათა სოციალისტურ მინდვრებზე უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა.

გასული წლის შედეგები ყველა საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ ორდენოსანმა საქართველომ წელს მიიღოს უხვი და მყარი მოსავალი.

რაიონული პარტიული ორგანიზაციები სრული პასუხისმგებელი არიან საგაზაფხულო თესვის საუკეთესოდ მომზადებისათვის და ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გამოასწორონ სამარცხვინო ჩამორჩენა ამ საქმეში. სასახელოდ შევხვდეთ მესამე სტალინური ხუთწლედის პირველ გაზაფხულს,—ასეთია საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების საბრძოლო ამოცანა.

## ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ საგაზაფხულო თესვის მზადებას, დავაწესოთ მტკიცე კონტროლი ტრაქტორების რემონტის ხარისხსა და თესლის მომზადებაზე

### უყურადღებობა თესლის მომზადებისადმი

[illegible]

ჩამორჩენა ცალკეული რაიონების მიხედვით კიდევ უფრო დიდია. მაგალითად, თავთავიანი და ცერცვოვანი კულტურების თესლის გამოყოფის გეგმა 1 იანვრისათვის შესრულებული ჰქონდა ბორჩალოს რაიონს 2,6 პროცენტით, ყარაიისას—32,5-ით, ყაზბეგისას—22-ით, ონისას—47,9-ით, თბილისისას—55,9-ით. ბოგდანოვკის რაიონს აკლია 2513 ცენტნერი თესლი, თელავისას—1989, დუშეთისა და ალბულაღის რაიონებს თვითეულს—1.800 ცენტნერზე მეტი. რაც შეეხება ზესტაფონის, ცაგერის, ცხაკაიას, გეგეჭკორისა და ჩხოროწყუს რაიონებს, ისინი თავთავიან და ცერცვოვან კულტურათა თესლის გამოყოფას ჯერაც არ შესდგომიან.

აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე კარტოფილის თესლის გამოყოფა. ამ გაზაფხულზე უნდა დაითესოს სულ 166.000 ცენტნერი კარტოფილი. აქედან პირველი იანვრისათვის გამოყოფილი იყო მხოლოდ 103.732 ცენტნერი, რაც გეგმის 62,5 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს იმ 46 რაიონიდან, სადაც კარტოფილი ითესება, თესლის გამოყოფის გეგმა შესრულებული აქვთ მხოლოდ ლუქსემბურგისა და წალკის რაიონებს. აჭარას წელს ესაჭიროება სათესლედ 11.600 ცენტნერი კარტოფილი, მაგრამ მის გამოყოფას აქ ჯერ კიდევ არ შესდგომიან. კარტოფილის თესლი 1 იანვრისათვის სრულიად არ ჰქონდათ [...]ფის გეგმა შესრულებული აქვს სამტრედიის რაიონს 1 პროცენტით, ქვემოსვანეთისას—4-ით, ბორჩალოსას—3,5-ით, ყვარლისას—8,3-ით, ვანისას—8,9-ით, ლაგოდეხის რაიონს 2400 ცენტნერის ნაცვლად გამოყოფილი აქვს 644 ცენტნერი კარტოფილის თესლი, თბილისის რაიონს—6400 ცენტნერიდან—1951. თესლის გამოყოფის გეგმის შესრულებაში დიდად ჩამორჩენილი არიან აგრეთვე ბოგდანოვკის, გორის, კასპის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ყარაიას, ბაღდათის, ტყიბულისა და სხვა რაიონები.

1 იანვრისათვის საქართველოში გაწმენდილი იყო თავთავიან კულტურათა თესლი სულ 50.088 ცენტნერის რაოდენობით, რაც გეგმის 25,2 პროცენტს უდრის.

თავთავიან კულტურათა თესლის გაწმენდა დაწყებული არა აქვს ყვარლის, ლაგოდეხის, ბაშკიჩეთის, თელავის, ყარაიის, ბორჩალოს, დუშეთის, თიანეთის რაიონებს და დასავლეთ საქართველოს არცერთ რაიონს გარდა ქვემო-სვანეთისა.

არის რაიონები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს თესლის გამოყოფის გეგმა, ხოლო მის გაწმენდას ყურადღებას არ აქცევენ. ავიღოთ თუნდაც ბორჯომის რაიონი. ამ რაიონმა თავთავიან და ცერცვოვან კულტურათა თესლის გამოყოფის გეგმა 106,1 პროცენტით შეასრულა. თესლის გაწმენდას კი აქ ჯერაც არ შესდგომიან. გორის რაიონს თესლის გამოყოფის გეგმა შესრულებული აქვს 106,1 პროცენტით, [...]სას—22,6-ით და ა. შ.

ჩამორჩენილია კოლმეურნეობათა შორის თესლის გადაცვლის საქმეც. 1 იანვრისათვის კოლმეურნეობებს ურთიერთშორის გადაცვლილი ჰქონდათ ხორბლის თესლი გეგმით გათვალისწინებულ 4799 ცენტნერის ნაცვლად 301 ცენტნერი (გეგმის 6,2 პროცენტი), ქერის თესლის გადაცვლის გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული იყო 0,1 პროცენტით, სიმინდისა კი—0,8 პროცენტით.

ხორბლის თესლის გადაცვლა 20 რაიონიდან 1 იანვრისათვის მხოლოდ 4 რაიონს ჰქონდა დაწყებული, ქერის გადაცვლა კი 21 რაიონიდან დაწყებული იყო მხოლოდ საგარეჯოსა და კასპის რაიონებში (საგარეჯოს ქერის გადაცვლის გეგმა შესრულებული აქვს 3,2 პროცენტით, კასპისას კი 1,2-ით).

სიმინდის ჩვეულებრივი თესლის ჯიშიან თესლზე გადაცვლა საქართველოს 30 რაიონში უნდა მოხდეს. გეგმით გათვალისწინებულ 14.245 ცენტნერიდან 12.298 ცენტნერის გადაცვლა უნდა მოახდინონ მარტო დასავლეთ საქართველოს რაიონებმა, რომლებსაც პრაქტიკული ნაბიჯი ამ მხრივ ჯერაც არ გადაუდგამთ. მთელ რესპუბლიკაში სიმინდის თესლის გადაცვლა ჯერჯერობით დაწყებული აქვთ მხოლოდ კასპისა და ალბულაღის რაიონებს და გეგმა ჯერ არც მათ შეუსრულებიათ.



საქსოფლმომარაგების რესპუბლიკური ბაზის სასოფლო-სამეურნეო მანქანების საწყობის გამგე ამხ. ხანინი ამოწმებს საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მიღებულ „ზიგზაგის" ფარცხებს.
ფოტო ო. ბუდეშტსკისა. („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

### ტრაქტორების რემონტი

მიწსახკომის, 1 იანვრის ცნობებით.

| მტს-ების დასახელება | ცნება შესაკეთებელი სულ | ცნება შეკეთებული უნდა 1 იანვრამდე | შეკეთებული ფაქტიურად | წლიური გეგმის შესრულება %% | გასული წლის მე-4 კვარტალის გეგმის შესრულება %% |
|---|---|---|---|---|---|
| ახალქალაქი | 59 | 24 | 8 | 13,6 | 33,3 |
| ბოგდანოვკა | 48 | 17 | 11 | 22,9 | 64,7 |
| ახალციხე | 33 | 15 | 11 | 33,3 | 73,3 |
| აგარა | 80 | 35 | 9 | 11,3 | 25,7 |
| თსიაური | 55 | 34 | 7 | 12,7 | 20,6 |
| გორი | 92 | 37 | 18 | 19.6 | 48.6 |
| კასპი | 64 | 30 | 7 | 10,9 | 23,3 |
| წეროვანი | 52 | 19 | 4 | 7,7 | 21,1 |
| საგარეჯო | 57 | 22 | 2 | 3,5 | 9,1 |
| ბორჩალო | 90 | 31 | 33 | 36.7 | 106,5 |
| ლუქსემბურგი | 44 | 20 | 9 | 20,5 | 45 |
| ყარაია | 53 | 39 | 24 | 45,3 | 61,5 |
| გურჯაანი | 55 | 25 | 4 | 7,3 | 16 |
| კაჭრეთი | 35 | 14 | 13 | 37,1 | 92,9 |
| ულიანოვკა | 44 | 17 | 3 | 6,8 | 17,6 |
| წნორი | 93 | 33 | 6 | 6,5 | 18,2 |
| წითელწყარო | 62 | 17 | 5 | 8,1 | 29,4 |
| თელავი | 60 | 27 | 24 | 40 | 38,9 |
| ლაგოდეხი | 56 | 21 | 8 | 14,3 | 38,1 |
| ბაშკიჩეთი | 34 | 14 | 2 | 5,9 | 14,3 |
| თიანეთი | 30 | 10 | 15 | 50 | 150 |
| სამტრედია | 18 | 7 | 4 | 22,2 | 57,1 |
| წულუკიძე | 17 | 3 | 4 | 17,6 | 125 |
| ხობი | 20 | 4 | 1 | 5 | 25 |
| ლანჩხუთი | 17 | — | 3 | 17,6 | — |
| გალი | 18 | — | 8 | 44,4 | — |
| სულ | 1.773 | 661 | 243 | 13,7 | 36,8 |

(ცნობები აგარის, თსიაურის, კასპისა და ბაშკიჩეთის მტს-ებზე 20 დეკემბრის მდგომარეობას გამოხატავს. თბილისის, ყვარლის, ასურეთის, ქუთაისის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდისა და ოჩამჩირის მტს-ებს ცნობები 20 დეკემბრის შემდეგ მიწსახკომში არ წარმოუდგენიათ. [illegible]

პირველი იანვრისათვის ტრაქტორების კაპიტალური რემონტის წლიური გეგმა შესრულებული იყო 18,4 პროცენტით, მეოთხე კვარტალისა — 47,9-ით. საშუალო რემონტიდან გამოშვებული იყო 106 ტრაქტორი. საშუალო რემონტის წლიური გეგმა [illegible]

## რატომ ჭიანურდება მანქანა-ტრაქტორების რემონტი

**სიღნაღი**, 4 იანვარი (საქდესი). ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების დროზე და მაღალხარისხოვანი რემონტი სწყვეტს საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროზე და მაღალი ხარისხით შესრულების საქმეს. იმის გამო, რომ გასულ წელს ტრაქტორების რემონტი დაბალი ხარისხით იქნა შესრულებული, წნორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა გარღვევით დაამთავრა მოსავლის აღება და საშემოდგომო ხვნა-თესვის კამპანია.

1938 წლის 20 თებერვლამდე წნორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა უნდა შეაკეთოს სულ 94 ტრაქტორი, აქედან კაპიტალური რემონტი სჭირდება 34-ს, საშუალო — 41-ს, მიმდინარე რემონტი — 16 ტრაქტორს, გარდა ამისა უნდა შეკეთდეს 6 საბარგო ავტომანქანა.

წნორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაკებს დიდი მუშაობა ჰქონდათ, რომ აღნიშნული გეგმა ვადაზე და მაღალი ხარისხით შეასრულონ. მაგრამ ამას ვერ ვხედავთ.

ტრაქტორების რემონტი ვადაზე დაიწყო; დაშალეს 5 ტრაქტორი, რომელსაც კაპიტალური რემონტი სჭირდებოდა, მაგრამ სათადარიგო ნაწილების მოლოდინში 15 დეკემბრამდე ვერ მოხერხდა აღნიშნული ტრაქტორების რემონტის დამთავრება.

მიწსახკომს დროზე უნდა მოეწოდებინა სარემონტო მუშაობისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები. ჯერჯერობით კი მიწსახკომის დახმარება და ხელმძღვანელობა არასაკმაოა. რამოდენიმე დღის წინ მიწსახკომმა კაპიტალური რემონტისათვის გადმორიცხა 8.000 მანეთი. ამ თანხით უნდა შეძენილი ყოფილიყო სათადარიგო ნაწილები. 8.000 მანეთი გადაურიცხეს მიწსახკომის სახელოსნოს, სადაც არ აღმოჩნდა საჭირო ნაწილები; ამან კიდევ უფრო გააჭიანურა ტრაქტორების რემონტი. გეგმის მიხედვით, 1938 წ. 1 იანვრამდე უნდა შეკეთებულიყო 33 ტრაქტორი 1 იანვრისათვის შეკეთებული იყო მხოლოდ 6 ტრაქტორი. მუშაობა დაუშვებლად ჭიანურდება.

წნორის მტს-ის სახელოსნოში უნდა მოეწყოს 14 სარემონტო ბრიგადა, დღემდე არის მხოლოდ 4, ისიც ფორმალურად. დროგამოშვებით მუშაობს მხოლოდ ორი ბრიგადა. ბრიგადირები ივანოვი და შ. მათეშვილი აცხადებენ, მართალია, მუშაობას 15 ნოემბრიდან შევუდექით, მაგრამ ნახევარზედ მეტ დროს უქმად ვცდენთ, არა გვაქვს სათადარიგო ნაწილები, რომ მთელი დატვირთვით ვიმუშაოთ. ამას ემატება ის გარემოება, რომ მანქანა-ტრაქტორების სადგური განიცდის საგრძნობ ნაკლებობას ფულადი სახსრების მხრივ. საქართველოს მიწსახკომმა ტრაქტორების რემონტისათვის უნდა გადმორიცხოს 160 ათასი მანეთი, ჯერჯერობით კი წნორის მტს-ზე გადმორიცხული აქვს 8.000 მანეთი.

ზემოაღნიშნული ფაქტი ნათლად მოწმობს, რომ მტს-ის ხელმძღვანელები მოუქნელად მუშაობენ და მიწსახკომიც ნაკლებ დახმარებას უწევს წნორის მტს-ებს.

საჭიროა მანქანა - ტრაქტორების სადგურების მთელი ძალების მობილიზაცია. მიმდინარე მომენტში ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს მანქანა - ტრაქტორების დაწესებულ დროში რემონტის მაღალხარისხოვნად შესრულების საქმეს და საგაზაფხულო თესვის კამპანიის ბოლშევიკურად მომზადებას — ასეთია გადაუდებელი ამოცანა საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის.

## ფართოდ გამოვიყენოთ მოწინავეთა გამოცდილება

თელავის მტს-მა 1937 წლის ხვნის გეგმა ვადაზე 10 დღით ადრე 101,3 პროცენტით შეასრულა — მსუბუქ ხვნაზე გადაყვანით უნდა მოეხნა 31.815 ჰექტარი, მოხნა 32.233 ჰექტარი.

ხვნის გეგმის შესრულებაში, საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საქმეში აქ განსაკუთრებით გამოირჩევიან სტახანოველი ტრაქტორისტები ალექსი წულუკიძე და თედო კაჭკაჭიშვილი. „სტზ" მარკის 15 ძალიან ტრაქტორით მათ მოხნეს 1.444 ჰექტარი მსუბუქ ხვნაზე გადაყვანით. გეგმის 330 პროცენტი, გააკეთეს 1.893 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია, თვითეულმა გამოიმუშავა 850 შრომადღე და მიიღო 4250 მანეთი ფულად, 2 ტონამდე მარცვლეული, ღვინო, არაყი და სხვა პროდუქტები.

ამ წარმატებათა მიღწევაში მეტად თვალსაჩინო როლი მიუძღვის ბრიგადირ მიხ. გაგნიძეს—მისი მეთვალყურეობითა და დახმარებით ამ ტრაქტორისტებმა ადვილად შესძლეს ყველა ტექნიკური წესის დაცვა, ტრაქტორების საუკეთესო მოვლა, მაქსიმალური დატვირთვა.

— ჩვენ ამ მიღწევებით არ დავკმაყოფილდებით, აცხადებენ ტრაქტორისტები წულუკიძე და კაჭკაჭიშვილი, — პირობას ვიძლევით 1938 წელს ჩვენი ტრაქტორის დატვირთვა ავიყვანოთ 2.000 ჰექტარამდე.

ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის ისინი ახლა განსაკუთრებით ემზადებიან—ამოწმებენ ტრაქტორს, ასუფთავებენ, უცვლიან დაზიანებულ და გაცვეთილ ნაწილებს, არემონტებენ, ეცნობიან იმ ადგილებს, სადაც ხვნა უნდა ჩაატარონ, ეჯიბრებიან ერთმანეთს ვალდებულებათა შესრულებაში.

საჭიროა ძალების იმგვარად განაწილება და დატვირთვა, რომ უახლოეს დროში მიღწეულ იქნას ყველა ბრიგადაში გეგმების წარმატებით შესრულება. სოციალისტური შეჯიბრების რაც შეიძლება ფართოდ გაშლა, ზუსტი კონტროლი, დახმარება ყველა უბანისადმი, მოწინავეთა გამოცდილების გადატანა ჩამორჩენილებში — აი რა უზრუნველჰყოფს სასახელო გამარჯვებას.

**მ. ახალაძე**

## თეთრგვარდიელ ბანდებისაგან ცარიცინის განთავისუფლების 18 წლისთავი

**სტალინგრადი**, 3 იანვარი (საქდესი). 3 იანვარს სტალინგრადის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს თეთრგვარდიელ ბანდებისაგან ცარიცინის განთავისუფლების 18 წლისთავი, ყველგან ჩატარდა სახელოვან თარიღისადმი მიძღვნილი მასობრივი კრებები და საუბრები.

გამოდიოდნენ რა კრებებზე, ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის", სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის „ბარიკადის", კუიბიშევის სახელობის ხე-ტყის სახერხი ქარხნისა და სხვა საწარმოთა მუშები იგონებდნენ ცარიცინის დაცვის საბრძოლო დღეებსა და აღნიშნავდნენ ამხანაგების სტალინის და ვოროშილოვის განსაკუთრებულ როლს თეთრგვარდიელ ბანდიტებისაგან ცარიცინის განთავისუფლების საქმეში.

## ცარიცინის დაცვის ი. ბ. სტალინის სახელობის მუზეუმის პირველი წლისთავი

**სტალინგრადი**, 3 იანვარი (საქდესი). ცარიცინის დაცვის ი. ბ. სტალინის სახელობის მუზეუმი აღნიშნავს თავის პირველ წლისთავს.

მრავალრიცხოვანი მნახველების მიერ გამოთქმული აზრი მოწმობს იმას, რომ მუზეუმი გახდა მასების პოლიტიკური აღზრდის სერიოზული სკოლა. მის განყოფილებებში თანმიმდევრობითა და დოკუმენტალურად არის ასახული ცარიცინის დაცვის გმირული ეპოპეა, ამხანაგ სტალინის როლი და მნიშვნელობა ამ საქმეში.

მუზეუმს ემატება ახალი ისტორიული მასალები — ლენინის, სტალინის, ვოროშილოვის, ორჯონიკიძის, კიროვის წერილების ფოტო-ასლები. ამას წინათ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმიდან მიღებულია ძვირფასი ისტორიული დოკუმენტები და მნიშვნელოვნად გაფართოებულია განყოფილება, სადაც ასახულია ოქტომბრის წინა დღეები.

შარშანდელი წლის განმავლობაში მუზეუმი დაათვალიერა 150 266 კაცმა.

## საქ. კ. პ. (ბ) იაროსლავლის ქალაქკომის არასწორი დადგენილების შესახებ

### საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ საკ. კ. პ. (ბ) იაროსლავლის ქალაქკომმა მიითვისა ფუნქციები, რომლებიც მას არ ეკუთვნის, დანიშნა რა 1937 წლის 22 ნოემბრის თავისი გადაწყვეტილებით კომბინატ „კრასნი პერეკოპის" და საქსოვი ფაბრიკის ახალი დირექტორები.

2. გაუქმდეს პირველ პუნქტში აღნიშნული საკ. კ. პ. (ბ) იაროსლავლის ქალაქკომის გადაწყვეტილება, როგორც არასწორი.

3. განემარტოს საკ. კ. პ. (ბ) იაროსლავლის ქალაქკომს და მის პირველ მდივანს ამხ. ზიმინს, რომ საკ. კ. პ. (ბ) ქალაქკომს არა აქვს მინიჭებული საკავშირო სახალხო კომისარიატებისათვის დაქვემდებარებულ საწარმოთა დირექტორების დანიშვნისა და განთავისუფლების უფლება.

**საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.**

1938 წლის 3 იანვარი, „პრავდა".

## საინფორმაციო ცნობა

### საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მორიგი პლენუმის შესახებ

1938 წლის 3—4 იანვარს შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მორიგი პლენუმი.

[illegible]

(საქდესი).

# საომარი მოქმედება ჩინეთში

**ცენტრალურ ჩინეთში.**

**ხანკოუ, 3 იანვარი (საქდესი).** ცენტრალური ფრონტის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში, ჩინეთის ჯარებმა გუანდეს შემდეგ დაიკავეს ქალაქი სიანი (გუანდეს აღმოსავლეთით). ფრონტის სამხრეთ სექტორში მათ დაიკავეს ფუიანი (ხანჯოუს სამხრეთდასავლეთით) და უიხანი (ხანჯოუს დასავლეთით).

31 დეკემბერს ჩინელთა კონტრშეტევის შედეგად იაპონიის ჯარებმა დასტოვეს ხანჯოუ და იმყოფებიან ქალაქიდან 10 კილომეტრის მანძილზე დასავლეთით. წასვლის წინ იაპონელებმა ცეცხლი წაუკიდეს ხანჯოუს. ხანძარი მეოთხე დღეა გრძელდება.

ჩინეთის ჯარები ხანჯოუში არ შესულან და მიდამოებში იმყოფებიან. იაპონიის ჯარების შტაბი ხანჯოუდან გადაყვანილია სიაშიში (შანხაი-ხანჯოუს რკინიგზაზე).

იაპონიის ჯარების წინსვლას ლუჯოუსაკენ (ანხუეის პროვინცია) და არხის გასწვრივ აკავებენ ჩინეთის ჯარები.

2 იანვარს ნანჩანის თავზე (ძიანსის პროვინციის დედაქალაქი) გაიმართა საჰაერო ბრძოლა. იაპონელთა 23 თვითმფრინავს შეხვდა ჩინეთის ავიაცია. ქალაქის ნაკლებად დასახლებულ ნაწილში გადმოჰყარეს 100-ზე მეტი ყუმბარა. დაზიანებულია 9 სახლი. ბრძოლის დროს ჩამოაგდეს იაპონელთა 2 თვითმფრინავი. იაპონელთა 1 თვითმფრინავი ძალზე დაზიანებულია. ამავე დღეს ჩინელთა თვითმფრინავების ესკადრილია ყუმბარებს უშენდა ჰაეროდრომს ნანკინში.

**ჩრდილო ჩინეთში.**

**ხანკოუ, 3 იანვარი (საქდესი).** პარტიზანებმა 1 იანვარს 7 საათის ბრძოლის შემდეგ განდევნეს იაპონელები ლუხეკოუდან (შანსისა და ხენანის პროვინციების საზღვარზე).

შანდუნის პროვინციაში 31 დეკემბერს ჩინეთის ჯარებმა დასცალეს ქალაქი ტაიანი (ძინანის სამხრეთით). მათი პოზიციები ამჟამად არის ტაიანიდან 50 კილომეტრის მანძილზე სამხრეთით.

ცენტრალურ ნიუსის სააგენტოს კორესპონდენტი ჩუჯოუდან იუწყება, რომ 1 იანვარს ჩინეთის ჯარებმა ჩინეთის სარდლობის გეგმის თანახმად დასტოვეს ცინდაო. ევაკუაციის წინ ააფეთქეს იაპონელთა და ჩინელთა ყველა ფაბრიკა, საწყობები, ნავმისადგომები, პორტის ნაგებობანი და დიდი შენობები. ტაიანის ხელში ჩაგდების შემდეგ იაპონიის ჯარების კოლონა წინ მიიწევს სამხრეთისაკენ ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის გასწვრივ. ბრძოლა სწარმოებს დავენკოუსთან. იაპონიის ჯარების წინსვლის შესაკავებლად 2 იანვარს ჩინეთის ჯარებმა ააფეთქეს რკინიგზის ხიდი მდინარე ვენხეზე. ჩინეთის ჯარების მარჯვენა ფლანგი იცავს სინტაის (ძინანიდან 105 კილომეტრის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით). მარცხენა ფლანგმა უკან დაიხია ნინიანისაკენ (ძინანიდან 95 კილომეტრის მანძილზე სამხრეთით). 2 იანვარს ბრძოლა სწარმოებდა ქალაქ ბოშანთან (ძინანიდან აღმოსავლეთით). იაპონიის ჯარების მეორე კოლონა წინ მიიწევს ტაიანის დასავლეთისაკენ აშკარა განზრახვით შეიჭრას ხენანის პროვინციაში აღმო-[illegible]

**სამხრეთ ჩინეთში.**

**ხანკოუ, 3 იანვარი (საქდესი).** 1 იანვარს გუანდუნის პროვინციის სამხრეთ სანაპიროზე, ჯუნშანის მახლობლად, საკანონერო გემების არტილერიის სროლით იაპონელები ცდილობდნენ გადმოესხათ დესანტი. ჩინელთა მცველმა ჯარებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. რამდენიმე კანჯო იაპონელი მეზღვაურებით ჩაძირულია.

## ჩინეთში წარმოებულ ომს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს იაპონელი ხალხისთვის

**ხანკოუ, 2 იანვარი (საქდესი.)** გაზეთი „საუტ ჩაინა მორნინგ პოსტი" ათავსებს ტოკიოდან მიღებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ჩინეთის ფრონტზე მყოფ იაპონელ ჯარისკაცთა ოჯახები ამერიკიდან ღებულობენ ათასობით ომის საწინააღმდეგო წერილებს. ამ წერილებში განმარტებულია, რომ ჩინეთში წარმოებულ ომს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს იაპონელი ხალხისთვის, არამედ მხოლოდ ადიდებს როგორც იაპონელი, ისე ჩინელი ხალხის უბედურებას და სიღატაკეს. წერილები დაწერილია იაპონურ ენაზე.

იაპონიის საზღაოს და ფოსტის მოხელეებს მიცემული აქვთ სასტიკი განკარგულება შეაჩერონ ომისსაწინააღმდეგო წერილების მოხვედრა იაპონიაში.

## იაპონელთა დესანტი

**ლონდონი, 3 იანვარი (საქდესი).** ექსჩეინჯ ტელეგრაფის სააგენტოს ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მაკაოში თავს იყრიან დიდძალი ლტოლვილები კუნძულებიდან, რომლებიც მდებარეობენ მარგალიტის მდინარის შესართავში, მაკაოსა და შეკაის შუა, ჰონკონგიდან 40 კილომეტრის მანძილზე. იაპონიის ჯარების გადმოსხმას ამ კუნძულებზე აწარმოებს იაპონიის სამი კრეისერი და რამდენიმე ტრანსპორტი.

„დეილი ექსპრესის" ჰონკონგელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იაპონელთა ცნობებით, იაპონიის დესანტის ნაწილები გადმოსხეს რამდენიმე ადგილას ჰონკონგის ორივე მხარეზე. იაპონელთა რამდენიმე ხომალდი შესჩანს ტაიჩანის ყურეში, ინგლისის წყლების საზღვრებთან, იაპონელებმა ხელში ჩაიგდეს აგრეთვე გრინისა და ნეროუს კუნძულები ბიასის ყურეში და აიძულებენ ამ კუნძულებზე მცხოვრებ ჩინელებს გაასწორონ ნიადაგი ჰაეროდრომისათვის.

ჩინელთა ცნობებით, იაპონელთა ნაღმოსნებმა გუანდუნის ნაპირებთან ჩასძირეს ჩინელთა 80 ნავი. დაიღუპა ასზე მეტი ჩინელი მეთევზე.

## მეამბოხეთა ყალბი [illegible] უარყოფა

[illegible]

...ლიო, კონკული და კაუდეტე. მაგრამ დაუყოვნებლივ მოხდა საჭირო გადაჯგუფება, რესპუბლიკური ჯარებისა რომელთაც თავისი ძლიერება გამოიჩინეს, გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს მეამბოხეებს და უკვე დაიკავეს ერთერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მაღლობი ტერუელის დასავლეთით.

სააგენტოს სიტყვით, რესპუბლიკური სარდლობის წრეებში აღნიშნავენ, რომ მოვლენები ისე ვითარდება, როგორც ითვალისწინებდნენ.

რესპუბლიკური ჯარების წარმატებას ტერუელში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ წარმატებამ ხელი შეუშალა მეამბოხეთა შეტევას, რაც უკანასკნელ დროს მზადდებოდა და რაც ყოველ საათში იყო მოსალოდნელი. რესპუბლიკელთა ჯარებმა არა მარტო საომარი საჭურველის დიდი მარაგი და ბევრი ტყვე იგდეს ხელთ, არამედ აგრეთვე მათ მეამბოხეთა ჯარებს და მეამბოხეთა ზურგის მოსახლეობას უჩვენეს რესპუბლიკური არმიის ძლიერება და ბრძოლისუნარიანობა.

მეამბოხეები, ცხადია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ ცდებს უკან დაიბრუნონ ტერუელი, მაგრამ იმ ზარალის შედეგად, რომელიც მეამბოხეებს ტერუელთან მოსდით, მათი დამკვრელი ნაწილები სისხლიდან დაიცალნენ. მეამბოხეებმა აღმოსავლეთის ფრონტზე გადაისროლეს საომარი საჭურველის თითქმის ყველა ბაზა და მათი სამანევრო არმიის ჯარები, რომლებიც მალე ამოიწურებიან.

სააგენტო ამთავრებს, რომ ტერუელის ოპერაციაში, რამდენიმე კვადრატული კილომეტრი ტერიტორია სრულიად არ სწყვეტს საკითხს. ძირითადი საკითხია მეამბოხეთა ჯარებისა და საომარი საჭურველის მოსპობა, და ეს შედეგი მიღწეულია.

# პოლიტიკური პროცესები ბავარიაში

**ბერლინი, 3 იანვარი (საქდესი).** ამ ბოლო დროს ბავარიაში შესდგა რამდენიმე მორიგი პოლიტიკური პროცესი, რომლებიც მკაცრი საკატორღო განაჩენების გამოტანით დამთავრდა. ფაშისტურმა სასამართლომ მიუნხენში 4 კაცს, რომლებსაც ჰბრალდებოდათ „არსებული წესწყობილების დამხობისათვის მზადება" საერთო ანგარიშით მიუსაჯა კატორღა 16,5 წლით. მთავარ ბრალდებულს მიესაჯა 6 წლის კატორღა, დანარჩენ 7 კაცს მიესაჯა პატიმრობა სხვადასხვა ვადით ორიდან სამ წლამდე.

მიუნხენისავე სასამართლოში შესდგა მეორე ჯგუფის—კაუფბეირენისა და მისი მიდამოების მცხოვრებთა პროცესი, რომლებსაც აგრეთვე ჰბრალდებოდათ „არსებული წესწყობილების დამხობისათვის მზადება". 7 ბრალდებულს საერთო ანგარიშით მიესაჯა კატორღა და პატიმრობა 20,5 წლით. მთავარ ბრალდებულს მიუსაჯეს კატორღა 7 წლით.

## უცხოეთის ქრონიკა

— „ლუმანიტე" იუწყება, რომ ავინიონის მახლობლად აღმოაჩინეს იარაღის ახალი საწყობი. იარაღის ეს საწყობი, როგორც სჩანს, ეკუთვნოდა ამ ცოტა ხნის წინათ საფრანგეთში გამომჟღავნებული ფაშისტური შეთქმულების მონაწილეებს.

— შანხაიში იაპონელმა მეზღვაურებმა სცემეს მუნიციპალური პოლიციის ორ ინგლისელ პოლისმენს იმ დროს, როცა ისინი სამსახურის საქმეზე მივიდნენ იაპონიის საზღვაო შტაბში. ინგლისის გაზეთები აცხადებენ, რომ ეს ინციდენტი იმის ახალი დამამტკიცებელი საბუთია, რომ იაპონიის ბოდიშებს არავითარი ფასი არ აქვს. იაპონიის პროვოკაციების სიას, ხაზგასმით აღნიშნავენ გაზეთები, შეემატა კიდევ ერთი შემთხვევა.

— ჰავასის ცნობით, ამერიკის სააგენტოს ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი ედუარდ ნეილი, რომელიც ტერუელის ფრონტზე დაიჭრა, მიუხედავად იმისა, რომ მას სისხლი გადაუსხეს, დღეს დილით გარდაიცვალა.

— 1 იანვარს ქალაქ ლინფინში (შანსის პროვინცია) შესდგა მასობრივი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100 ათასმა კაცმა. მიტინგი მიეძღვნა შანსის პროვინციაში საყოველთაო მობილიზაციის ჩატარების საკითხს. მიტინგზე გამოსულნი ერთსულოვნად მხარს უჭერდნენ იაპონიის აგრესიისათვის ბოლომდე წინააღმდეგობის გაწევას, ჩინეთის მთავრობისათვის მხარდაჭერას და იღაშქრებდნენ იაპონელ დამპყრობლებთან ყოველგვარი მოლაპარაკების წინააღმდეგ.

— ტარნოპოლში დამთავრდა 51 პირის დიდი პროცესი, რომელთაც ბრალდებოდათ კომუნისტური მუშაობა. სასამართლომ 37 ბრალდებულს მიუსაჯა პატიმრობა სხვადასხვა ვადით ნახევარი წლიდან 6 წლამდე. 14 კაცი გაამართლეს.

# საბჭოთა კავშირში

## გრენლანდიის ზღვაში გასვლის წინ

### „ერმაკი" ემზადება ყინულოვანი ლაშქრობისათვის.

**მოსკოვი, 3 იანვარი (საქდესი).** დაამთავრა რა ფინეთის ყურის ყინულებში გემების გაყვანის ოპერაციები, ყინულმჭრელი „ერმაკი" მივიდა ლენინგრადის ნავსადგურში. გუშინ საღამოთი, ყინულმჭრელის დოკში სარემონტოდ გაგზავნამდე რამდენიმე საათით ადრე, „ერმაკის" კაპიტანმა ორდენოსანმა ვ. ი. ვორონინმა ტელეფონით აცნობა საქდესის თანამშრომელს:

— ყინულმჭრელის ეკიპაჟი ემზადება ოპერაციებისათვის გრენლანდიის ზღვაში, სადაც ჩვენ მოდრეიფე ყინულიდან უნდა გადმოვიყვანოთ ოთხი მამაცი პოლარელი ი. დ. პაპანინი, ე. ტ. კრენკელი, პ. პ. შირშოვი და ე. კ. ფედოროვი.

1937 წლის მძიმე არქტიკულმა ნავიგაციამ დააზიანა ყინულმჭრელის კორპუსი. კორპუსს სჭირდება რემონტი, რომელიც დაახლოებით ორ თვეს გაგრძელდება. იმ შემთხვევაში, თუ ყინულის დრეიფი იწარმოებს უფრო სწრაფად, ვიდრე მოსალოდნელია, ყინულმჭრელს შეუძლია უფრო ადრეც გავიდეს ზღვაში. გემის რემონტი იწარმოებს იმ ანგარიშით, რომ შესაძლებლობა გვექნეს პირველ მოთხოვნისთანავე გავიდეთ გრენლანდიის ზღვაში.

„ერმაკი" მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს მიუახლოვდეს „ჩრდილოეთის პოლუსის" სადგურს, თუ აღნიშნული სადგური იქნება უფრო სამხრეთ განედებში გამჩხრებული ყინულთა რაიონში. პაპანინის ბანაკის დრეიფის სამხრეთ მიმართულებასთან დაკავშირებით ჩვენი გემის სვლის პირობები დღითი-დღე გაუმჯობესდება.

როგორ გვაქვს წარმოდგენილი ყინულმჭრელის გზა გრენლანდიის ზღვის ყინულებში მოდრეიფე სადგურისაკენ? ეჭვს გარეშეა, რომ ცურვის პირობები არაჩვეულებრივი იქნება. „ერმაკს" მოუხდება წინსვლა რაიონებში, რომლებიც არ არის შესწავლილი მეზღვაურების მიერ. ვფიქრობთ, მხოლოდ, რომ სიღრმე საკმაო იქნება.

ოპერაციის წარმატებაში ეკიპაჟის არცერთ წევრს ეჭვი არ ეპარება, ყინულმჭრელი საიმედოა, კოლექტივი გამოცდილი, პოლარულ სანაოსნო პირობებთან გაცნობილი.

### სსრ კავშირის უზენაესი [illegible]

**მოსკოვი, 3 იანვარი (საქდესი).** დღეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე ტაჯიკეთიდან ჩქარი მატარებლით მოსკოვს ჩამოვიდა ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის 19 დეპუტატი.

ჩამოსულთა შორის არიან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატები ამხ. გ. ნ. ბაჟულინი — ტაჯიკეთის ცაკის თავმჯდომარის მოადგილე, მოზოზაროვა — წთიან ბადახშანის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობის რგოლის მეთაური, ტალიბეკოვი — მებიგე-მემანქანე, სმაგინა — ტაჯიკეთის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის პილოტი და სხვები.

დღეს, 4 იანვარს უზენაესი საბჭოს სესიაზე ტაჯიკეთიდან მოსკოვს ჩამოდის კიდევ 12 დეპუტატი.

**აშხაბადი, 3 იანვარი (საქდესი).** დღეს ჩქარი მატარებლით გაემგზავრნენ მოსკოვს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თურქმენი ხალხის მიერ არჩეულნი—უზენაესი საბჭოს დეპუტატები. მათ შორის არიან ორდენოსანი გაბიმ მამიში, აშხაბადის საფეიქრო ფაბრიკის სტახანოველი მუშა ქალი საფარ მუხამედოვა, აშხაბადის სათბომავლო დეპოს წარჩინებული მემანქანე ორდენოსანი მურატ ჩულიტოვი, გამოჩენილი ოსტატი მებამბე ორდენოსანი ატა ხოჯალიევი, პროფესორი ქირურგი გრიგორიევი და სხვები.

## ემზადებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წლისთავისათვის

**ჟიტომირი, 3 იანვარი (საქდესი).** ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და ჯარის ნაწილებში აწყობენ წითელი არმიის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებებსა და საუბრებს.

წითელი არმიის ფრუნზეს სახელობის სახლმა მოაწყო დიდი მხატვრული გამოფენა. მრავალრიცხოვანი სურათები და ფოტომონტაჟები ასახავენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის წარმატებებს. წითელი არმიის სახლთან ეწყობა აგრეთვე მეომართა, მეთაურთა და მათი ოჯახების მხატვრული შემოქმედების გამოფენა.

აქტიურად ემზადებიან იუბილესათვის მხატვრული თვითმოქმედების წრეები. 20 წლისთავის დღეს წრეების ძალებით დადგმული იქნება მხატვრულ-მუსიკალური მონტაჟი „გამარჯვების დღესასწაული".

## ავადმყოფობის დროს დაზღვევის დეკრეტის 20 წელი

**მოსკოვი, 3 იანვარი (საქდესი).** 20 წლის წინათ, 1918 წლის 4 იანვარს, სრულიად-რუსეთის ცაკმა გამოაქვეყნა ი. მ. სვერდლოვის მიერ ხელმოწერილი „დეკრეტი ავადმყოფობის დროს დაზღვევის შესახებ".

მშრომელთა სოციალური დაზღვევა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარია. ოცი წლის წინათ საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული დეკრეტი ავადმყოფობის დროს დაზღვევის შესახებ გახდა სოციალური დაზღვევის მთელი სისტემის ქვაკუთხედი, სისტემისა, რომელიც ახლა იქცა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კულტურული ზრდის ამაღლებისა და ყოფაცხოვრების გაჯანსაღების ერთერთ ბერკეტად.

1937 წლის სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი შეადგენდა კოლოსალურ თანხას — 5.292 მილიონ მანეთს. ამ სახსრების ნახევარზე მეტი 1937 წელს დაიხარჯა დროებით შრომის უნარდაკარგულთათვის დახმარების მისაცემად.

ასი ათასობით მშრომელები იყვნენ ზარშან სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში და კურორტებზე. 1937 წელს დახმარება ახალ დაბადებულთა მოვლისათვის, ყრმათა კვებისათვის და დახმარება ბავშვების მომსახურებისათვის სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით შეადგენდა 531.148 ათას მანეთს.

1938 წელს სსრ კავშირის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა უფრო გაუმჯობესდება. წელს მნიშვნელოვნად გაიზრდება სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი.

## იზრდება გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიგები

**ხარკოვი, 2 იანვარი (საქდესი).** ხარკოვის ოლქში 1937 წელს გამომგონებელთა და წარმოების რაციონალიზატორთა რიგებს 8 ათასზე მეტი სტახანოველი და დამკვრელი შეემატა. მარტო პირველი ექვსი თვის მანძილზე მიღებული იყო 7.056 საგამომგონებლო და სარაციონალიზატორო წინადადება. რეალიზებულმა წინადადებებმა 1937 წ. მოგვცეს 20 მილიონ მანეთამდე ეკონომია.

სტალინის სახელობის ელექტრომექანიკური და ტურბოსაგენერატორო ქარხნის სტახანოველმა ამხ. კოტელნიკოვმა 1937 წლის განმავლობაში შემოიტანა 30 რაციონალიზატორული წინადადება.

შევჩენკოს სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ყველა მუშის თითქმის მესამედი რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა ავტორებია.



თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის საელმავლო საამქრომ 1937 წლის საწარმოო გეგმა 22 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. 22 ელექტრომავლის ნაცვლად შეაკეთა 25. **სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ) საამქროს სტახანოველები — ამხანაგები: კუპრავა, გოცირიძე, გეგეშიძე, ესაკია (საამქროს უფროსი) ფედოროვი, პაშკევიჩი და გავრილოვი.

ფოტო ი. ბუდეშტსკისა („სოაუზფოტოს" საქ. განყ.)

# საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა

საბჭოთა ხალხს მხურვალედ უყვარს თავისი ახალგაზრდობა, იგი იზიდავს მას აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იგი ჰქმნის მისთვის უაღრესად სწრაფი პოლიტიკური ზრდის ყველა პირობას, იგი იზიდავს მას სახელმწიფოს მმართველობაში. მაღალი ნდობა გამოიჩინა ხალხმა საბჭოთა ახალგაზრდობისადმი, აირჩია რა ასზე მეტი კომკავშირელი უზენაესი საბჭოს დეპუტატებად. მშრომელთა ამ წარგზავნილებით სამართლიანად ამაყობს მთელი ჩვენი სამშობლო.

კომკავშირის მიერ გამოზრდილი საუკეთესო ახალგაზრდები შედიან პარტიაში, მათ აწინაურებენ ხელმძღვანელ საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე. პარტიის ლისკოვსკის რაიკომმა (გორკის ოლქი) რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილების გამგის სამუშაოზე დააწინაურა კომკავშირელი გენადი კუზმინი. იგი, ენერგიული, ინიციატივის მქონე მუშაკი, სარგებლობს კოლმეურნეთა მასების პატივისცემით. იმავე ოლქში სემიონოვსკის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგედ დამტკიცებულია კომკავშირელი ივანე რიბინი. კომკავშირელი-პედაგოგი, იგი ღირსი გახდა პატივისა შეეტანათ თავისი ქალაქის საუკეთესო ადამიანთა დაფაზე. ხალხის ასეთი ერთგული ვაჟები და ქალები კომკავშირში ასიათასობით არიან! კომკავშირული ორგანიზაციები უნდა ეცადონ, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა უფრო გაბედულად და უფრო დიდი მასშტაბით იქნას დაწინაურებული სახელმწიფო და სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში. ამ საქმეში კომკავშირი პარტიის სრულ მხარდაჭერას ჰპოვებს!

მშრომელი მასების აქტიურობის ზრდა, ბუნებრივია, აძლიერებს საკ. ალკკ პასუხისმგებლობას ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის და იწვევს კომკავშირული ორგანიზაციების მთელი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების აუცილებლობას. ლენინ-სტალინის პარტია, მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტი დაეხმარნენ და ეხმარებიან კომკავშირს გადაჭრით გაიწმინდოს ხალხის მტრებისაგან, რომლებიც მოტყუების გზით გაძვრნენ აქა-იქ ხელმძღვანელობაში. მაგრამ, საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტს არ გამოუყვანია ყველა დასკვნა ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდიტების მტრული მუშაობის გაკვეთილებიდან, რომლებიც ხანგრძლივად მოქმედებდნენ კომკავშირში.

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის გადაწყვეტილებანი ბევრ რამეში ქაღალდზე დარჩა, არ სრულდება. ხოლო მათი მიღების დღიდან კი გავიდა ოთხ თვეზე მეტი — საკმაო ვადა, რათა საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტს აემაღლებინა კომკავშირული ორგანიზაციების იდეური დონე და პრაქტიკული მუშაობა. წინანდებურად ცუდად სრულდება კომკავშირის აქტივის პოლიტიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობა — საკ. ალკკ მუშაობის ყველა საკითხის კოლექტიურად განხილვა და კოლექტიურად გადაჭრა. მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ გაწმენდილან მტრული, გახრწნილი ელემენტებისაგან, განსაკუთრებით ნაციონალურ რესპუბლიკებში. ჯერ კიდევ არის ისეთი კომკავშირული ორგანიზაციები, სადაც ბევრს ლაყბობენ, გამოაქვთ ბევრი რეზოლუცია. მაგრამ ახალგაზრდობისა და ბავშვების კომუნისტური აღზრდის ძირითად საკითხებზე კი ჯეროვნად არ მუშაობენ.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებმა აამოძრავა, აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში ათასობით და ათასობით ჩააბა პარტიისათვის ახალგაზრდა მებრძოლები — აგიტატორები და პროპაგანდისტები, შემოქმედებითი უნარი ამ ახალგაზრდობისა, რომელიც აბარებდა და რომელმაც ჩააბარა პოლიტიკური აქტიურობის გამოცდა, დამახასიათებელია ქალაქისა და სოფლის ყველა ახალგაზრდა მშრომელისათვის, რომელთაც უყვართ ლენინ-სტალინის პარტია, უყვართ თავისი ხალხი, თავისი დიადი სამშობლო. აი საიდან უნდა იღებდეს კომკავშირი თავის რეზერვებს, აი ვინ უნდა იქნას ჩაბმული საკ. ალკკ რიგებში!

კომკავშირის სუსტი, აშკარად არასაკმაო ზრდა მოწმობს იმას, რომ საკ. ალკკ მუშაობაში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებები რომ არ შესწევთ უნარი განამტკიცონ საარჩევნო კამპანიის პერიოდში მიღწეული წარმატებანი. ნელა მიდის საკ. ალკკ რიგების ზრდა, განსაკუთრებით სოფლად. მტრული ელემენტებისაგან გაწმენდის პროცესს მუდამ როდი სდევს თან კომკავშირული ორგანიზაციების ზრდა ენერგიული, ერთგული ახალგაზრდობის ხარჯზე, რომელიც ბიუროკრატებისა და თავდამზღვევთა მიზეზით ჯერ კიდევ კომკავშირის გარეთ რჩება.

აშკარად არასაკმარისად იზრდება ნაციონალური რესპუბლიკების კომკავშირული ორგანიზაციები. ჩაჩნეთ-ინგუშეთში არის ისეთი რაიკომები, როგორიცაა, მაგალითად, ურუს-მარტანოვსკისა, რომელსაც არცერთი კაცი არ მიუღია კომკავშირის რიგებში. უზბეკეთში კი 30 რაიკომზე მეტს 1937 წლის განმავლობაში არცერთი ქალიშვილი არ მიუღია კომკავშირში!

საკ. ალკკ ნელი ზრდის ძირითადი მიზეზები პირველ რიგში აიხსნება, იმით, რომ ცუდ მდგომარეობაშია პოლიტიკური მუშაობა, არ შესწევთ უნარი ორგანიზაციულად მოიცვან უპარტიო ახალგაზრდობის გაზრდილი აქტიურობა, არ შესწევთ უნარი პასუხი გასცენ მწვავე საკითხებს, რომლებიც მშრომელი ახალგაზრდობის ყველა ფენას აღელვებენ. კომკავშირული ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელის სენია უძრაობა და ბიუროკრატიზმი, უსულგულობა ადამიანებისადმი, მავნებლობის შედეგების ნელი აღმოფხვრა.

კომკავშირმა უნდა გამოიყვანოს თავისთვის ყველა პოლიტიკური და პრაქტიკული დასკვნა ჩატარებული საარჩევნო კამპანიის გამოცდილებიდან. ეს ხელს შეუწყობს კომკავშირს მოსინჯოს თავისი სუსტი რგოლები და მოსპოს დაშორება ახალგაზრდობის სულ უფრო-და-უფრო მზარდ აქტიურობასა, მის მოთხოვნილებებსა და ხელმძღვანელობის იმ დაბალ დონეს შორის, რომელიც დამახასიათებელია კომკავშირის ბევრი კომიტეტისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დაუღალავად ასწავლის კომკავშირს ბოლშევიკურ პრინციპულობას, მახვილ პოლიტიკურ სიფხიზლეს, კავშირის მუშაობაში არსებულ შეცდომათა და ნაკლოვანებათა შეუსუსტებელ კრიტიკას.

გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა" უკანასკნელ თვეებში ენერგიულად აწარმოებს ბრძოლას კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გარდასაქმნელად პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად. „კომსომოლსკაია პრავდა" აჩაღებს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკას, ამხელს მტრული ელემენტების ნაშთებს კომკავშირში. სამწუხაროდ, გაზეთის ამ უმნიშვნელოვანეს მუშაობას ყოველთვის საკმაოდ როდი უჭერს მხარს საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო.

ახალგაზრდობის სწორი ხელმძღვანელობისა და კომუნისტური აღზრდის ძირითადი და გადამწყვეტი პირობაა აქტივის ცოცხალი ყოველდღიური კავშირი ახალგაზრდობის მასებთან. კომკავშირის ნამდვილი ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს — უფრო გაბედულად და გადაჭრით აწინაურებდეს აქტივის ახალ კადრებს, იყოს ახალგაზრდობის შუაგულში, დაეხმაროს ახალგაზრდა მუშებს, გლეხებს, ინტელიგენტებს. აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, აღზარდოს მთელი ახალგაზრდა თაობა ბოლშევიზმის საფუძველზე, ლენინ-სტალინის საქმის, სოციალიზმის საქმის ერთგულების საფუძველზე.

ახალგაზრდა თაობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ხდება ცხოვრებისა და სწავლების მჭიდრო დაკავშირებით. სიმძიმის ცენტრის გადატანა აღმზრდელობით მუშაობაზე კომკავშირში ზოგიერთმა გაიგო, როგორც თვითგანდგომა საწარმოო ცხოვრებაში მონაწილეობისაგან. ყალბი, არასწორი წარმოდგენაა! ამან გამოიწვია ის, რომ ცალკეული კომკავშირული ორგანიზაციები არ იჩენენ შემოქმედებითს თაოსნობას სტახანოვური მოძრაობის გაშლაში.

თორმეტ წელზე მეტი ხნის წინათ სტატიაში „კომკავშირის ამოცანების შესახებ" ამხანაგი სტალინი გვაფრთხილებდა, რომ თუ კომკავშირის აქტივის პრაქტიკული მუშაობა არ იქნება შეთავსებული მის თეორიულ მომზადებასთან, ისე შეუძლებელია რაიმე ოდნავ აზრიანი კომუნისტური მუშაობა კომკავშირში. „კომკავშირი არ იქნებოდა კომკავშირი, რომ მას სიძნელეების ეშინოდეს. დიდი ამოცანა იკისრა კომკავშირის აქტივმა. ამიტომ მან უნდა იპოვოს ძალა თავის თავში იმისათვის, რომ გადალახოს ყველა და ყოველგვარი სიძნელე მიზნისაკენ მიმავალ გზაზე". (სტალინი).

ხოლო ეს მაღალი, საუცხოო მიზანი, რომელიც მთელს ლენინურ კომკავშირს აღაფრთოვანებს, იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკების პარტიის და მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გადალახოს ყველა და ყოველგვარი სიძნელე და ახალგაზრდობის მთელი მასა წაიყვანოს კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

„პრავდის" მოწინავე, 4/I

# ყურადღება ხუდონის ალებასტრს

ინგურის ხეობაში სვანეთისაკენ ვიწრო გზა მიიკლაკნება. გზას პატარა ლამაზ სოფელ ხუდონში შევყავართ. 1934 წელს აქ დაიწყო ალებასტრის ქვის წარმოება, რომელსაც სახალხო მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამჟამად ალებასტრის წარმოება, ცუდი გზების გამო, დიდ სიძნელეებს განიცდის. გზის მშენებლობაზე ძველმა მავნებლურმა ხელმძღვანელობამ 200 ათასი მანეთი დახარჯა, მაგრამ გზას არავითარი გაუმჯობესება არ დასტყობია.

ალებასტრის წარმოება შიდის საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ კომისარიატი მას საკმაო ყურადღებას არ აქცევს და ხელმძღვანელობას ვერ უწევს. მაგალითად, 1937 წელს გზის მშენებლობისათვის 311 ათასი მანეთი უნდა დახარჯულიყო, ნამდვილად კი დღემდე 180 ათასი მანეთიც არ არის ათვისებული. მუშათა ბინების მშენებლობისათვის გათვალისწინებული იყო 60 ათასი მანეთი, მაგრამ დღემდე წარმოებას არცერთი კაპიკი არ მიუღია.

ალებასტრის წარმოებას წელს უნდა მიეღო სამი ავტომანქანა. ნამდვილად კი კომისარიატმა ძლივს მისცა ერთი მანქანა, რომელიც შეძენილ იქნა საექსპლოატაციო თანხით. ყველაფერი ის გეგმების შესრულებაზე ძალიან უარყოფითად მოქმედებს.

ალებასტრის წარმოებაში ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და მოუვლელია ავტომანქანები. გასულ წელს დაიწყო ავტოგარაჟის მშენებლობა, რომელიც დღესაც დამთავრებული არ არის. მანქანები დგას ცის ქვეშ, მათ წვიმა და მზე აფუჭებს.

გამოკვლევით დადასტურებულია, რომ ალებასტრის მარაგი 15 მილიონ ტონას უდრის. საჭიროა ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატმა გეოლოგიური ძიება-ძიება უფრო გააფართოვოს და ალებასტრის გამოკვლეულ მარაგთან შეფარდებით გაადიდოს წარმოების გეგმები.

ხუდონის ალებასტრის წარმოება რომ მოწოდების სიმაღლეზე დადგეს, ამისათვის საჭიროა საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ყურადღება მიაქციოს გეოლოგიური საძიებო-ძიებო სამუშაოების გაფართოებასა და გაუმჯობესებას, გზის კაპიტალურად შეკეთებას, მუშათა ბინებისა და ავტოგარაჟის მშენებლობის დამთავრებას და სხვ.

ხუდონის ალებასტრის წარმოების გაფართოებისა და 1938 წლის გეგმის შესრულებისათვის ამ სამუშაოების დაჩქარება აუცილებელია.

ვ. ზარქუა

## თბილისის სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის ელექტრომავლის საამქრომ ვადაზე ადრე შეასრულა წლიური გეგმა

თბილისის სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის ელექტრომავლის საამქროს მუშებმა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით იკისრეს ვალდებულება ვადაზე ადრე შეესრულებინათ ელექტრომავლთა რემონტის წლიური გეგმა. ეს ვალდებულება საამქროს კოლექტივმა ღირსეულად შეასრულა. 22 დეკემბრისათვის საამქრომ რემონტიდან გამოუშვა 25 ელექტრომავალი, წლიური დავალების მიხედვით კი 22 ელექტრომავალი უნდა გამოეშვა.

სტახანოვური რეკორდების სტალინური დეკადის განმავლობაში საამქროს სტახანოველებმა დაგვანახვეს შრომის ნაყოფიერების შესანიშნავი ნიმუშები. ასე, მაგალითად, სტახანოველი ამხ. ირაკლი კაკაბაძე, რომელიც მუშაობს ელექტრომავალთა კომპრესორების რემონტზე დღიურ ნორმას 700 პროცენტით ასრულებდა. ელექტრომონტიორ ამხ. ბორისაშვილის, მონტიორ ამხ. სოლონინის ზეინკლების ამხ. კრომის, მისკაძის, კაკაშვილისა და მრავალი სხვების შრომის ნაყოფიერება დეკადის განმავლობაში 250—400 პროცენტით გამოიხატა.

(საქდესი).

# მეტი ყურადღება ანტირელიგიურ პროპაგანდას

[illegible]



[illegible]

# „ვეფხის-ტყაოსნის“ გენიალური შემოქმედის ხსოვნას

## აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

2 იანვარს საღამოს ხელოვნების მუშაკთა სახლის დარბაზში დაიწყო ნ. ი. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი.

პირველი სხდომა გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ს. ნ. ჯანაშიამ.

სესიის პრეზიდიუმში არიან: საქართველოს სს რესპუბლიკის განსახკომი ამხ. გ. ბურჭულაძე, აკადემიკოსები ვ. ვ. სტრუვე, ი. ი. მეშჩანინოვი, მეცნიერებათა აკადემიის კორესპონდენტი წევრი პროფ. ვ. ფ. შიშმარევი, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე პროფ. ნ. ი. მუსხელიშვილი, პროფ. ი. ა. ჯავახიშვილი და სხვ.

სესიამ მიიზიდა თბილისის სამეცნიერო საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, უნივერსიტეტის პროფესორები, კულტურის დარგის მუშაკები და მოწავლე ახალგაზრდობა.

მოხსენებით თემაზე „რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“ სესიაზე გამოვიდა პროფ. ი. ა. ჯავახიშვილი. საინტერესო მოხსენება შეუნელებელი ყურადღებით მოისმინეს, მომხსენებელმა აღნიშნა მატერიალური კულტურის ძირითადი მომენტები, რომლებიც ასახულია პოემაში და დასასრულ გამოსთქვა სურვილი, რომ გენიალური პოემა შესწავლილ იქნას არა მარტო პოეტიკის მხრით, არამედ როგორც კულტურის მატერიალური ძეგლიც.

მოხსენებით „ქართული კულტურის უძველესი ფესვების შესახებ ხეთური და ქალდური ეპოქების იმ ძეგლთა მიხედვით, რომლებიც ნაპოვნია საქართველოს ტერიტორიაზე 1936-37 წელს“, გამოვიდა არქეოლოგი, პროფ. ბ. ა. კუფტინი.

მომხსენებელმა დაწვრილებით უამბო შეკრებილთ წალკის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შესახებ, რომელიც მოეწყო 1936-37 წელს მისი ხელმძღვანელობით იმ რაიონის შესასწავლად, რომელიც უნდა დაფარულიყო წყლით ხრამჰესის მშენებლობის დროს.

ექსპედიციამ წალკის რაიონში აღმოაჩინა მრავალრიცხოვანი ძეგლები (სამარხები, ყორღანები, სადგომები, ციხეები) სხვადასხვა ეპოქისა ზედა პალეოლითიდან, რომელიც თავისებურად არის წარმოდგენილი წალკაში ობსიდიანის ინდუსტრიით, ანტიკური (მე-4-5 საუკუნე ჩვენს ერამდე) და სასანიდთა (მე-4-5 საუკუნე ჩვენი წელთაღრიცხვის) დროის სამარხებამდე.

1936 წელს დიდი სამეცნიერო მნიშვნელობის მასალა მოგვცა ბრინჯაოს (ქალთა) ეპოქის დასასრულის სამარხებმა, იქ ნაპოვნია ერთადერთი ასეთი განიერი ბრინჯაოს ქამარი ნადირობის სცენებით და დიდრონი ყორღანები, სადაც არის საქართველოში უცნობი თავისებური მოხატული კერამიკის ნიმუშები (მეორე ათასი წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

1937 წელს წარმოებულმა ახალმა გათხრებმა დაგვანახვეს ამ ძეგლთა ორი ტიპი—უფრო ძველი ღრმა სამარხი ორმოთი და აღნიშნული ტიპის კერამიკით, და უფრო გვიანდელი—სამარხი ინვენტარით გრუნტზე მიწაყრილს ქვეშ, უფრო განვითარებული სტილის მოხატული კერამიკით.

ყორღანების ორივე ტიპში ნაპოვნია ძვირფასი ლითონების საგნები, უმთავრესად ჭურჭელი. მაგრამ ბრინჯაოს, ან რკინის არავითარი იარაღი და საერთოდ ამ ლითონთა ქვალი არ ყოფილა ნაპოვნი. ნაპოვნია მხოლოდ ისრის ბუნიკი ობსიდიანისა.

უფრო ადრინდელი პერიოდის ყორღანში იპოვნეს ბაჯაღლო ოქროს თასი (დიამეტრი 6—7 სანტიმეტრი და სიმაღლე 5 სანტიმეტრი), მშვენიერი ნამუშევარი, გამოჭედილი მთლიანი ნატეხისაგან. უფრო ახალი დროის ყორღან „კურუხ თეფეში“ ნაპოვნია ვერცხლის დიდი თასი, წონით 250 გრამი, სიმაღლით 11 სანტიმეტრი, დიამეტრით 9 სანტიმეტრი. ეს თასი დაფარულია ორი ბარელიეფიანი კოზმიდით, ქვედაზე დახატულია ირმები, ზედაზე კი რიტუალური პროცესია 22 ფიგურისაგან სეტური ჭრილობის მოკლე ტუნიკებით და მოკაუჭებული წვერებიანი ფეხსაცმლით, როგორც ხეთურ ბარელიეფებზეა. ფიგურებს აქვთ მგლის თავი და კუდი.

თასს, პროფ. ბ. ა. კუფტინის აზრით, შეიძლება ჰქონდეს დამოკიდებულება ხეთების ხალხთან—ლუვიელებთან. იგი, როგორც ეტყობა, აქ არ არის შემოტანილი გარედან, არამედ დაკავშირებულია იმ ტერიტორიის ისტორიასთან, სადაც ნაპოვნია, მით უმეტეს, რომ იგი მდიდარი ინვენტარის მხოლოდ ნაწილს შეადგენს.

საინტერესოა აგრეთვე ნაპოვნი—ცხოველის ოქროს ფიგურა, კვერთხის ოქროს ნაჭიდობა აგრეთვე კოშკისებური თავსაბურავის ოქროს ზედანაწილი მეორე ყორღან „ჩუჩუქ თეფედან“, რომელსაც აქვს წაკვეთილი კონუსის ფორმა.

გარდა ამისა ნაპოვნია ძვირფასი ოქროს ყელსაბამი იმავე ეპოქისა ყორღან „თუმასინ თეფესიდან“, რომელიც წარმოადგენს აქატის კულონს ოქროს ჩარჩოში, რომელიც მოკაზმულია ნაფხვიერითა და ჩასმული თვლებით, და ოქროს ბურთისებრ მძივებით (დიამეტრით 3,5 სანტიმეტრამდე), რომელიც გვიჩვენებს ოქრომჭედლობის ტექნიკის მაღალ ოსტატობას, აგრეთვე ორი დიდი ოქროს ხვია, რომელშიც გაუყრიდნენ ნაწნავებს და იმაგრებდნენ საფეთქლებზე.

ეს ნაპოვნი ნივთები თავისი აქამდე უცნობი ტიპით გადაგვიშლიან საქართველოს ისტორიის ახალ ფურცელს—პირველი ათასი წლის დამლევისა და მეორე ათასი წლის დამდეგის ეპოქაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

— უეჭველია, — ამბობს პროფ. კუფტინი,—რომ ჩვენ საქმე გვაქვს მნიშვნელოვნად დიფერენცირებულ საზოგადოებასთან, განვითარებული საგვარეულო, არისტოკრატიით, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული წინააღმოსავლეთის ძველ ცივილიზაციებთან. ექსპედიციის მიერ შესწავლილი სამარხები (გათხარეს 130 ნამარხი) და ციკლოპური სიმაგრეები მოგვცემენ მასალას, რათა ვიმსჯელოთ ამ საზოგადოების მეურნეობრივსა და სოციალურ ტიპზე.

მოხსენებას თან ახლდა ჩვენება მრავალრიცხოვანი სურათისა პროექციული ფანარის საშუალებით.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, ვინაიდან ექსპედიციების ნაპოვნ ნივთებს უეჭველად უდიდესი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ.

სესიის მუშაობა გრძელდება.

(საქინფორმი).

# ალკვეთოთ რელიგიური კულტის მსახურთა მტრული საქმიანობა

[illegible]

...ექიმბაშობა, ბოროტი სულების რწმენა და სხვ.

ამ ცოტა ხნის წინათ სამხრეთ-ოსეთის სოფლებში დადიოდა ვინმე არსენ ქობულოვი და ავრცელებდა ხმებს „უჩინარი სულების“ (ეშმაკების) არსებობის შესახებ. მან შემოიკრიბა თავის გარშემო საეჭვო პირები, ნაძირალები და მათი დახმარებით შესძლო დაეშინებინა სოფელ დმენისის მცხოვრებთა ერთი ნაწილი ისე, რომ ღამღამობით ისინი გარეთ გამოსვლას ველარ ბედავდნენ. ამის შემდეგ ქობულოვმა გამოაცხადა, რომ ის სოფლიდან განდევნის „ბოროტ სულებს“, თუ გლეხები მისცემენ 600 მანეთს. დაშინებულმა გლეხებმა შეუგროვეს ეს თანხა და ქობულოვმაც მაშინვე „განდევნა ეშმაკები“ სოფლიდან!

გარდა ამისა, ქობულოვი ეწეოდა მკითხაობას, ქადაგებას და ექიმბაშობას. უმთავრესად ის „მკურნალობდა“ სულით ავადმყოფებსა და ბნე-

[illegible]

...ნებურად გაალეს საკოლმეურნეო ბეღელი და გაინაწილეს ხორბალი. ადგილზე მდგომარეობის გაცნობამ აი რა გამოარკვია:

სოფ. ზემო-აჩაბეთში მცხოვრებმა ანტისაბჭოთა ელემენტებმა კოლმეურნეობების დაშლის მიზნით ფართო აგიტაცია გააჩაღეს „ღმერთის სახელით“. მათ ვინმე თამარ და სალომე ჭულუხაძეები გამოაცხადეს „წმინდანებად“. ეს ახლად მოვლენილი „წმინდანები“ „ღმერთის სახელით“ აშინებდნენ კოლმეურნეებს, მოუწოდებდნენ მათ კოლმეურნეობების დაშლისაკენ, რაზედაც აღებინებდნენ ფიცს ეკლესიური წესით.

ანტისაბჭოთა ელემენტების თავგასულობა იქამდე მივიდა, რომ ისინი ახლო-მახლო სოფლებში ჰგზავნიდნენ თავიანთ მომხრეებს და წმინდანების სახელით მოუწოდებდნენ კოლმეურნეებს სასწრაფოდ

[illegible]

...ტი, რომ ამჟამად ქალ. სტალინირში მოქმედებს ოთხი სინაგოგა (თორა); რომლებშიაც ძალიან ხშირად ნახავთ სასკოლო ასაკის ახალგაზრდებსა და ბავშვებსაც.

აქ გასულ წლებში რაბინებს (ხახმებს) სკოლებიც კი ჰქონდათ გახსნილი თავიანთ ბინებში, სადაც სპეციალურად ასწავლიდნენ საღმრთო სჯულს.

ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტების მოთმენა ყოვლად შეუძლებელია. პარტკომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გააჩაღონ რელიგიური კულტის მსახურთა ანტისაბჭოთა საქმიანობის დაუყოვნებლივ ალსაკვეთად. საჭიროა ფართოდ გაიშალოს ანტირელიგიური პროპაგანდა. აგიტაციითა და ახსნა-განმარტებითი მუშაობით უნდა მივაღწიოთ რელიგიურ ცრურწმენათა სავსებით აღმოფხვრას.

გ. ჭელიძე

# ჭერის რაციონალური მართვისათვის ჭიათურის მაღაროებში

[illegible]

...თოდებით მართვას.

ამ საქმის პრაქტიკულად მოგვარებისათვის ნაბიჯი უკვე გადაიდგა. მიმდინარე წლის აგვისტოში თბილისის შრომის დაცვის ინსტიტუტმა მოიწვია ლენინგრადის ცენტრალური სამეცნიერო-საგამოკვლევო ბიურო, რომელმაც თბილისის შრომის დაცვის ინსტიტუტის სამთო სექტორის თანამშრომელთა ბრიგადასთან ერთად ჭიათურის მაღაროებში (ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროები) ჩაატარა ჭერის მართვის რაციონალური წესების შერჩევისათვის წინასწარი დაკვირვებანი.

ბრიგადის დაკვირვებანი უმთავრესად ეხებოდა მაღაროს ჭერის თვისებების შესწავლას, მისი ჩამოწევის საშიში სიდიდის განსაზღვრას და იმ მოვლენათა შესწავლას, რომელნიც ჭერის ინტენსიურ ჩამოწევაზე გავლენას ახდენენ (გამაგრების სიძლიერე, ფეთქვითი სამუშაოები,

[illegible]

...გრადში, თბილისის შრომის დაცვის ინსტიტუტის სამთო სექტორის წარმომადგენელთა თანადასწრებით.

გარდა ამისა, გაიხსნება ექსპერიმენტული ლავები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ შევარჩიოთ მაღაროების ჭერის გამაგრების საშუალებანი და მათი რაციონალური მართვის მეთოდები.

იმ დანაკარგებს, რომლებიც გამოწვეულია ლავების დანგრევით, ჭერის რაციონალური მეთოდებით მართვის შემოღების შედეგად ბოლო მოეღება და ეს დიდძალ მუშახელს გაანთავისუფლებს.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ამ ხაზით წარმართული მომავალი სამუშაოების დაფინანსებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ჭიათურის მარგანტრესტმა, რომელიც ყველაზე მეტად უნდა დაინტერესდეს და ხელი შეუწყოს ამ სამუშაოების წარმატებით მსვლელობასა და დასრულებას.

გ. ვარაზაშვილი

---

ი. გედევანიშვილი

# „ვეფხის-ტყაოსნის“ სამხედრო ხელოვნება

„ვეფხის-ტყაოსანი“ გმირთაგმირული მოქმედების ეპოპეაა. მასში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ბრძოლასა და შეხლა-შეტაკებას. დიდი პოეტი შეუდარებელი ხელოვნებით გვიხატავს ამ ბრძოლებს, რაც მოწმობს, რომ რუსთაველი ზედმიწევნით იცნობდა იმდროინდელ სამხედრო ხელოვნებას, იმდროინდელ სტრატეგია-ტაქტიკას.

პოემაში ორი დიდი ომია აღწერილი: ტარიელისა ხატაელების წინააღმდეგ და სამი გმირისა ქაჯეთის წინააღმდეგ.

ხატაელთა მეფის რამაზის უხეში წერილის მიღების შემდეგ ტარიელი გაილაშქრებს ხატაელთა წინააღმდეგ. ტარიელი მოახდენს ჯარის სრულ მობილიზაციას. საჭიროა რაც შეიძლება მეტი ჯარის შეკრება:

„ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია;
„იგი ვარსკვლავითა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია;
„შორით და ახლოს ყველანი მართ ჩემკენ მონასხპანით;
„ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კაპანია“.

ტარიელი მობილიზაციას ახდენს და მიდის სალაშქროდ.

გაიგო რა ხატაელთა მეფემ რამაზმა ტარიელის ურიცხვი ჯარის მოახლოვება, დააპირა მუხანათობით და ღალატით ტარიელის დამარცხება. იგი უგზავნის ტარიელს ხატაელთა ხანს, ვითომ მოინანიებს შეცოდებას და პატიებას სთხოვს: აქა ნუ მოვლენ სპანიაო.

ტარიელი მიხვდება ღალატს, მოიწვევს ვაზირთ სათათბიროდ. ვაზირნიც აფრთხილებენ ტარიელს: ხატაელნი „არიან მეტად მუხთალნი, ჩვენ ერთხელ კვლავაც ვნახენითო“.

ტარიელი დაეთანხმება ვაზირთა რჩევას, ჯარის უდიდეს ნაწილს უკან დასტოვებს და სამასი რჩეული მეომრით წავა რამაზთან შესახვედრად, მაგრამ წინდახედული და ფრთხილი ტარიელი უბრძანებს უკან დარჩენილ მთავარ ძალას: „ახლოს მამდევდით, მიშველდით; გიხმობ თუ მინდეს შველანი“. გარემოება გამოურკვეველია, ამიტომ საჭიროა დიდი რეზერვი.

კიდევ ორჯერ მიუგზავნის ტარიელს დესპანებს რამაზ მეფე, კიდევ ეფიცება მორჩილებას. ტარიელი არაფრით არ აგრძნობინებს მათ თავის ეჭვებს. პირიქით, დიდად მოუალერსებს. მოგზავნილთა შორის აღმოჩნდება ერთი, რომელიც დაარწმუნებს ტარიელს რამაზის ღალატში:

„მეფე ცოტად მოგეგებვის, ვის მჭვრეტნი ვერ გელევიან... კვამლსა შეიქმენ ლაშქარნი, ყოველგნით მოგეხვევიან“.

მოხდება შეტაკება, ტარიელი დაამარცხებს რამაზის ჯარს, ფეხდაფეხ სდევნის დამარცხებულთ, ვიდრე სრულიად არ მოუსპობს რამაზის ჯარს ბრძოლის უნარს. „მისნი სპანი ყველაკანი დაიპყრენით, არ მოგკვლენით“. ასეთ ჰუმანურ მოპყრობას დამარცხებული მოწინააღმდეგისადმი ჩვენ ვხედავთ „ვეფხის-ტყაოსანში“ აწერილ ყველა ბრძოლაში.

გარემოების ზედმიწევნით შესწავლა, — ოპერაციის ყოველმხრივ მომზადება, ჯარის მიზანშეწონილად განაწილება, რეზერვის გონივრულად და დროზე გამოყენება, სწრაფი და ენერგიული მოქმედება—აი ტარიელის ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა. კიდევ უფრო დიდი ოსტატობითაა აღწერილი ამბავი სამი გმირის ბრძოლისა ქაჯეთის წინააღმდეგ.

დარეჯანი დატყვევებულია ქაჯთა ქალაქში, საჭიროა ამ ქალაქის აუცილებლად აღება, მაგრამ:

„ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია;
ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია,
„მას კლდესა შიგან გვირაბი, ასაძრომელი ხვრელია...

ასეთი ციხე-სიმაგრეა დასაპყრობი. პირდაპირ მისვლა, პირისპირ შეტაკება არ გამოდგება, ვერ დასძლევენ ქაჯთა უამრავ ჯარს. საჭიროა სწრაფად, ფარულად სვლა და ქაჯეთზე მოულოდნელად თავდასხმა. მით უმეტეს, რომ ქაჯთა მფლობელნი წასულნი არიან ქაჯეთიდან. მათ გამოიმუშავეს მოქმედების გეგმა; საბრძოლო საგნისაკენ სიჩქარით და მალულად სვლა ჯერ დღისით და ღამით, შემდეგ კი, მიახლოვებისას, მხოლოდ ღამით, მოულოდნელად მისვლა, შენიღბვა ჯარისა, მეზავრად მოჩვენება. შეტევის დაწყების მომენტის გონივრულად შერჩევა და გათენებისას ფიცხელი შეუპოვარი თავდასხმა, — ყველა ეს სამხედრო ხელოვნების ძირითადი პრინციპების მტკიცედ დაცვის მაჩვენებელია.

ამ დიდი ბრძოლების აღწერიდან შესანიშნავად მოსჩანს ომების წარმოების იმდროინდელი ხელოვნება. ყოველ ბრძოლას წინ უძღვის დაზვერვა, ე. ი. მოპირდაპირის სამხედრო ძალების, ციხე-სიმაგრეების და ადგილმდებარეობის შესახებ რაც შეიძლება მეტი ცნობების მოკრეფა. თუ ომი გადაწყვეტილია—სწრაფი და სრული მობილიზაცია ყველა ძალებისა; საბრძოლველად სწრაფად და ფარულად სვლა და მოპირდაპირეზე მოულოდნელად თავდასხმა; გარემოებასთან სავსებით შეფარდებული მოქმედების გეგმის შემუშავება (სამხედრო თათბირი); გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ და ენერგიულად შესრულება; შეტევის მომენტის შერჩევა (გათენებისას); სამწყებად იერიშის მიტანა (პირისპირ და ფრთების წინააღმდეგ); რეზერვის ყოლა და მისი დროზე და გონივრულად გამოყენება; გამარჯვების ბოლომდე გამოყენება (დამარცხებული მოპირდაპირის დაუცხრომელი დევნით). ბრძოლის მთავარ ობიექტად მიჩნეულია მოპირდაპირის „ცოცხალი ძალა“—ჯარი. ასეთია მთავარი პრინციპები, რომლებზედაც აგებულია „ვეფხის-ტყაოსანში“ მოთხრობილი სამხედრო მოქმედებანი.

„ვეფხის-ტყაოსანში“ მოთხრობილი ბრძოლები ფანტაზიის ნაყოფი არ არის, ამ ბრძოლებს სავსებით რეალისტური ხასიათი აქვთ. ომის წარმოების პრინციპები და ხასიათი, ჯარების ორგანიზაცია, მათი საბრძოლველად დაწყობა, ყველა ეს უსათუოდ სინამდვილიდან არის აღებული და მოწმობს, რომ გენიოსი პოეტი სავსებით, ზედმიწევნით იცნობდა სამხედრო საქმეს.

საგულისხმოა, რომ პრინციპები, რომლებზედაც აგებულია „ვეფხის-ტყაოსნის“ სამხედრო მოქმედება, სავსებით იგივეა, რაც საფუძვლად ედო დავით აღმაშენებლისა და გამოჩენილი სარდლების მხარგრძელის და დავით სოსლანის სამხედრო მოქმედებას. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეს „სამ წყებად იერიშის მიტანა“. ასეთი საბრძოლო წყობა საქართველოში და არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მაშინდელ მსოფლიოში, პირველად დავით აღმაშენებელმა შემოიღო და ასეთი საბრძოლო წყობა საფუძვლად უდევს სამხედრო მოქმედებას თამარის დროსაც. იგივე უნდა ითქვას რეზერვის შესახებ. რეზერვის გამოყოფაც პირველად დავით აღმაშენებლის მიერ არის შემოღებული.

დავით აღმაშენებლისა და თამარის ხანა ვაჭრობის განვითარებისა და განმტკიცების ხანაა, რომლის განვითარება თამარის დროს მაღალ საფეხურს აღწევს. ვაჭრობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო გზებს და მათ დაცვას. იმდროინდელი საქართველო მეტად მნიშვნელოვან სატრანზიტო სახელმწიფოს წარმოადგენდა. საქართველოს ტერიტორიით მიიმართებოდნენ მთავარი სავაჭრო გზები დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ამ გზების დაცვა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა. დავით აღმაშენებლისა და თამარის დროის ომებისა და შორს გალაშქრების მიზანი იყო ამ გზების უზრუნველყოფა—დაცვა. უამრავი ქარავნები მიმოდიოდნენ ამ გზებით და დიდძალი საქონელი მიჰქონდათ და მოჰქონდათ. ასეთი ქარავნების აღწერას ჩვენ „ვეფხის-ტყაოსანშიაც“ ვხვდებით. თვით ავთანდილი ერთ ასეთ ქარავანს იცავს მეკობრეთაგან და სამშვიდობოს მიჰყავს. შორი გზების დაცვა დიდძალ ჯარსა და შორს გალაშქრებას მოითხოვდა. საქართველოს მოსაზღვრე დიდ დესპოტურ სახელმწიფოებს მრავალრიცხოვანი ჯარები ჰყავდათ და ამ ჯარების ბრძოლის ერთადერთი ტაქტიკა იყო: ერთიანი, მჭიდროდ შეჯგუფებული მასით მიწოლა და პირდაპირ სიმძიმით მრავალრიცხოვანი მოპირდაპირის დათრგუნვა. შემომტევი კომპაქტური მასის სუსტ მხარეს წარმოადგენდნენ მისი ფრთები, კიდარის წვერები. თუ მოპირდაპირე მას ფრთით ეკვეთებოდა, ეს ტლანქი, მოუქნელი, მოძრაობის უნარს მოკლებული მასა დროზე ვერ მოტრიალდებოდა შემოტევისაკენ და უფრო ხშირად აირევ-დაირეოდა და პანიკას მიეცემოდა. გარდა ამისა, შორს გალაშქრებანი მოითხოვდნენ უფრო მოძრავ ჯარს, ზურგისაგან ნაკლებად დამოკიდებულს და, რაც მთავარია მსუბუქი იარაღით შეჭურვილს და მეტნაწილად ცხენოსანს.

ასეთმა გარემოებამ და პირობებმა გამოიწვიეს ახალი ტაქტიკა, ჯარის ახალი საბრძოლო წყობა და დავით აღმაშენებელმაც ახალი ტაქტიკა შემოიღო—ნაცვლად ერთიანი ტლანქი, მოუქნელი მასისა, იგი თავის ჯარს სამ წყებად ჰყოფს და სამ წყებად აწარმოებს ბრძოლას: „წინამბრძოლნი“, „მემარჯვენით მიმსვლელ-მცემელნი“ და „მემარცხენით მიმსვლელ-მცემელნი“. გარდა ამისა, მას ჰყავს რეზერვი, რომელიც საჭიროებისამებრ დაეხმარება ამა თუ იმ ნაწილს. მოძრაობის დიდი უნარიანობა, შემოვლისაგან უზრუნველყოფა, ფრონტის ადვილად შეცვლა, ყველა ნაწილის თავისუფლად მოძრაობა და, რაც მთავარია, მოპირდაპირეზე ერთსა და იმავე დროს როგორც პირისპირ, ისე ფრთებით შეტევის შესაძლებლობა—ასეთია ამ ტაქტიკის მთავარი უპირატესობანი. გარდა ამისა, ერთი ნაწილის დამარცხება არ იწვევს სხვა ნაწილების არევ-დარევას. არის რეზერვი, რომელიც დროზე მიეშველება დამარცხებულ ნაწილს. ჯარი მსუბუქად არის შეჭურვილი: მუზარადი, აბჯარი, ხმალი, იგი მეტნაწილად ცხენოსანია. ამ ახალმა, მოპირდაპირისათვის უჩვეულო ტაქტიკამ საშუალება მისცა დავით აღმაშენებელს და თამარის სარდლებს არამც თუ გამკლავებოდნენ მოსაზღვრე სახელმწიფოთა მრავალრიცხოვან ჯარებს, არამედ შორ მანძილზეც ელაშქრნათ.

„ვეფხის-ტყაოსნის“ გმირებიც სწორედ ასეთ ტაქტიკას მისდევენ: სამ წყებად ბრძოლა, რეზერვის ყოლა, სწრაფი მოძრაობა, მოულოდნელად თავდასხმა, მსუბუქი იარაღი: იგივე მუზარადი, აბჯარი, ხმალი. უფრო ხშირად იხსენიება ხმალი და იშვიათად შუბი. ეს გასაგებიცაა: უკანასკნელი უფრო მძიმე სატარებელია და მოუქნელი. ჯარი უმთავრესად ცხენოსანია.

ეჭვს გარეშეა, გენიოსი პოეტი დიდი შოთა ჯარის წყობისა და ომის წარმოების აღწერისას ემყარებოდა დავით აღმაშენებლისა და თამარის დროის სამხედრო ტაქტიკის ძირითად პრინციპებს.

ჩვენ ვიცით, რომ თამარის შემდეგ იწყება საქართველოს დაქვეითება და დაკნინება. მონღოლთა შემოსევამ მოსწყვიტა საქართველო დიდ სავაჭრო გზებს. საზღვაო გზების აღმოჩენამ მთლად დაუკარგა მნიშვნელობა ხმელეთის სავაჭრო გზებს. ნაცვლად გაერთიანებული, ცენტრალიზებული სახელმწიფოსი, საქართველო დაქუცმაცდა, დაიყო ცალკეულ, თითქმის დამოუკიდებელ სამთავროებად, დაეცა პოლიტიკურად, კულტურულად და, რასაკვირველია, დაეცა და დაქვეითდა მისი სამხედრო ხელოვნებაც. და მხოლოდ XVII საუკუნის დამლევს და მეტადრე XVIII საუკუნის დამლევს, ირაკლი მეორის დროს, სამხედრო ხელოვნება აღწევს საკმაოდ მაღალ საფეხურს, მაგრამ იმ სიმაღლემდე ვერ მიაღწია, რომელსაც სამხედრო ხელოვნებამ საქართველოში, დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს მიაღწია.

და სწორედ ეს ხელოვნება აქვს შოთა რუსთაველს ზედმიწევნით გაცნობილი და შესწავლილი. „ვეფხის-ტყაოსანში“ მოთხრობილი სამხედრო ბრძოლები, რა თქმა უნდა, სინამდვილეში არ მომხდარა, ისინი არ წარმოადგენენ ისტორიულ ფაქტებს, მაგრამ ამ ბრძოლების ტაქტიკა და სტრატეგია, სხვადასხვა საბრძოლო ხერხები და აგრეთვე შეიარაღება, წყობა სინამდვილიდან არის აღებული და ისტორიულად სავსებით გამართლებული.

# მეორე ხუთწლედის სახელმწიფო შინაგანი სესხი

## (მეოთხე წლის გამოშვება)

## წაუგებელი გამოშვება

### მოგებათა მეხუთე ტირაჟის ცხრილი

მოგებათა ტირაჟი სწარმოებდა 1937 წლის 25 და 26 დეკემბერს ქ. ვოროშილოვგრადში.

ცხრილში ნაჩვენებმა სერიებისა და ობლიგაციების ნომრებმა მოიგეს მეორე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვების) სესხის წაუგებელი გამოშვების ორასსავე თანრიგში.

თუ ცხრილში სერიის ნომრის პირდაპირ დაბეჭდილია ობლიგაციის ნომერი *) ნიშნით, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სერიის ობლიგაციის ამ ნომერს ხვდა მოგება, რომელიც ნაჩვენებია ცხრილში ობლიგაციის ნომრის გვერდით, ამავე სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს კი ხვდა მოგება 150 მანეთი თვითეულს. თუ სერიის ნომრის პირდაპირ დაბეჭდილია ციფრები 1—50, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სერიის ობლიგაციის ორმოცდაათსავე ნომერს ხვდა ის მოგება, რომელიც ნაჩვენებია ცხრილში.

**მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შედის იმ მოგების თანხაში, რომელიც მას ხვდა.**

ცხრილში ნაჩვენებია ასმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. 50, 25 და 10-მანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა იმ მოგების შესაბამისი ნაწილი ($^1/_2$, $^1/_4$ ან $^1/_{10}$) რომელიც ხვდა ასმანეთიან ობლიგაციას.

500, 300 და 200-მანეთიან ობლიგაციებს აქვს ერთი სერიის ობლიგაციების შესაბამისი ხუთი, სამი ან ორი ნომერი და ისინი ითვლება, როგორც 5, 3 ან 2 ცალკეული ასმანეთიანი ობლიგაცია. თუ ამ ობლიგაციების სერიას და ერთერთ ნომერს ხვდა 3.000, 1.000 ან 500 მანეთი მოგება, ამავე ობლიგაციის დანარჩენი ნომრები ამავე დროს იგებენ 150 მანეთს თვითეული. თუ სერიას ხვდა 200 მანეთი ან 150 მანეთი მოგება, ამ სერიის 500, 300 და 200-მანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა შესაბამისად ხუთი, სამი ან ორი 200 ან 150—მანეთიანი მოგება.

მოგებებს გასცემენ შემნახველი სალაროები ოფიციალური ცხრილების მიხედვით, რომლებიც გამოქვეყნებულია გაზეთებში: „პრავდაში“, სსრ კავშირის ცაკისა და სრულიად-რუსეთის ცაკის „იზვესტიაში“, „ტრუდში“, „ფინანსოვაია გაზეტაში“, და „ვოროშილოვგრადსკაია პრავდაში“, აგრეთვე სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემული ოფიციალური ცხრილების მიხედვით.

**მეორე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვების) სესხის მე-5 ტირაჟში მოგება ხვდა სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს სესხის წაუგებელი გამოშვების ორასსავე თანრიგში:**

(მოგების თანხაში შედის ობლიგაციის ნომინალური ღირებულება)

| სერიების №№ | ობლიგაციის №№ | მოგების ოდენობა მან. | სერიების №№ | ობლიგაციის №№ | მოგების ოდენობა მან. |
|---|---|---|---|---|---|
| 00041 | 1—50 | 150 | 10420 | 1—50 | 150 |
| 00092 | 42*) | 500 | 10876 | 1—50 | 150 |
| 00174 | 26*) | 500 | 10948 | 1—50 | 150 |
| 00186 | 15*) | 500 | 11026 | 1—50 | 150 |
| 00788 | 31*) | 500 | 11048 | 1—50 | 200 |
| 00861 | 18*) | 1000 | 11142 | 1—50 | 150 |
| 01187 | 44*) | 150 | 11171 | 1—50 | 150 |
| 01484 | 17*) | 500 | 11804 | 19*) | 500 |
| 01505 | 1—50 | 200 | 12518 | 42*) | 500 |
| 01512 | 08*) | 500 | 12659 | 1—50 | 200 |
| 01728 | 08*) | 500 | 13355 | 24*) | 500 |
| 01749 | 1—50 | 150 | 13753 | 1—50 | 150 |
| 02004 | 12*) | 500 | 13896 | 1—50 | 150 |
| 02153 | 23*) | 500 | 13913 | 1—50 | 150 |
| 02228 | 16*) | 500 | 14031 | 16*) | 500 |
| 02336 | 11*) | 500 | 14101 | 30*) | 500 |
| 02814 | 1—50 | 150 | 14446 | 1—50 | 150 |
| 03016 | 12*) | 500 | 14660 | 1—50 | 150 |
| 03388 | 1—50 | 150 | 14671 | 1—50 | 150 |
| 03920 | 28*) | 500 | 14741 | 22*) | 3000 |
| 04408 | 1—50 | 150 | 15027 | 1—50 | 150 |
| 04924 | 1—50 | 150 | 15067 | 1—50 | 150 |
| 05452 | 1—50 | 150 | 15319 | 11*) | 500 |
| 05481 | 1—50 | 200 | 15891 | 1—50 | 200 |
| 05557 | 01*) | 1000 | 15950 | 37*) | 500 |
| 05655 | 1—50 | 150 | 15999 | 13*) | 500 |
| 06174 | 1—50 | 200 | 16182 | 36*) | 500 |
| 06528 | 07*) | 500 | 16224 | 1—50 | 150 |
| 06830 | 09*) | 500 | 16398 | 1—50 | 150 |
| 06843 | 1—50 | 150 | 16537 | 47*) | 500 |
| 06900 | 1—50 | 150 | 16589 | 1—50 | 150 |
| 07113 | 12*) | 500 | 16940 | 32*) | 500 |
| 07288 | 1—50 | 150 | 17048 | 1—50 | 150 |
| 07449 | 08*) | 500 | 17317 | 1—50 | 200 |
| 07477 | 1—50 | 150 | 17477 | 1—50 | 150 |
| 07710 | 1—50 | 150 | 17764 | 1—50 | 150 |
| 07744 | 1—50 | 200 | 17859 | 29*) | 500 |
| 07764 | 19*) | 1000 | 18051 | 09*) | 500 |
| 07783 | 27*) | 500 | 18354 | 17*) | 1000 |
| 07788 | 07*) | 500 | 18634 | 20*) | 500 |
| 07975 | 25*) | 500 | 18701 | 32*) | 500 |
| 08240 | 42*) | 500 | 18905 | 1—50 | 150 |
| 08278 | 1—50 | 150 | 19241 | 04*) | 500 |
| 08619 | 28*) | 500 | 19486 | 37*) | 500 |
| 08794 | 1—50 | 150 | 19607 | 1—50 | 150 |
| 09531 | 1—50 | 150 | 19730 | 1—50 | 150 |
| 09534 | 12*) | 500 | 19819 | 24*) | 500 |
| 09546 | 1—50 | 200 | 19852 | 30*) | 500 |
| 09561 | 1—50 | 200 | 19921 | 1—50 | 200 |
| 09871 | 41*) | 500 | | | |
| 10136 | 30*) | 500 | | | |
| 10141 | 04*) | 500 | | | |
| 10277 | 37*) | 1000 | | | |

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენმა 49 ნომერმა მოიგო 150 მანეთი თვითეულმა



სურათზე: სუბტროპიკულ კულტურათა სოხუმის საკავშირო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტები, (მარცხნიდან მარჯვნივ): გ. მანაგაძე, ა. ცეკვავა, ა. კამკია, დ. აბზიანიძე, ი. შვერინა, გ. ტოლმაჩოვი, ა. კარტაშოვი და ვ. გეგეჭკორი.

## ახალი შენობები თბილისში

ორდენოსან საქართველოს დედაქალაქ თბილისს მრავალი ახალი, ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით აშენებული სახლი შემატა 1937 წელს. დასრულდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კორპუსის 1-ლი რიგის მშენებლობა, რომელშიაც მოთავსებული იქნება ფიზიკო-ქიმიური ფაკულტეტი და ლაბორატორია. მშენებლობის ფართობი 96 ათას კუბმეტრს უდრის. ის დაჯდება 8,9 მილიონი მანეთი. ამჟამად მთავრდება ფასადის გაფორმება და შენობის წინ არსებული მოედნის კეთილმოწყობა.

უკვე დასრულდა მშენებლობა კონსერვატორიის მე-3 სართულისა, რომელიც გადაცემულია საექსპლოატაციოდ. მისი მოცულობა უდრის 7 ათას კუბმეტრს. იქვე, კონსერვატორიის შენობის გვერდით, დაიწყო დიდი საკონცერტო დარბაზის მშენებლობა, რომელიც დასრულდება 1938 წელს.

ავლაბარში, შაუმიანის მოედანთან დასრულდა თურქული პედტექნიკუმის მშენებლობა.

1-ლ იანვრისთვის დასრულდა ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის რეკონსტრუქცია. სცენის გაფართოების მიზნით თეატრს უკანიდან მიედგა 5-სართულიანი შენობა.

დასრულებულია აგრეთვე „სოიუზტექსტილშვეიტორგის“ 2-სართულიანი მაღაზიის მშენებლობა, რომელშიაც იწარმოებს პალტოების, მამაკაცთა და ქალთა კოსტუმების, კაბების, შარვლების, საცვლების და სხვ. ფართო ვაჭრობა.

საბურთალოზე, ზოოპარკის გვერდით, დასრულდა ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს მშენებლობა. დეკემბრის ბოლო რიცხვებში საავადმყოფო გაიხსნა და დაიწყო ნორმალური მუშაობა. მას აქვს 200 საწოლი და მოწყობილია სანიმუშოდ, ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. ამ საავადმყოფოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა სამკურნალო მომსახურებისათვის.

დასრულებულია საბავშვო ბაგების მშენებლობაც. გუთნის ქუჩაზე, 26 კომისრის სახელობის რაიონში, 30 დეკემბერს ახალ შენობაში გაიხსნა ბავშვთა ბაგა 100 საწოლით. ნავთლუღში, კომკავშირის ქუჩაზე, ახლადაშენებულ შენობაში 1-ლი იანვრისათვის გაიხსნა ბავშვთა მეორე ბაგა, აგრეთვე 100 ბავშვისათვის. ორივე ბაგა სანიმუშოდ იქნება მოწყობილი. (საქდესი).

## თბილისის საბჭოში

გასულ წელს, როცა თბილისის რკინიგზის სადგურის წინ ახალ სასტუმროს „კოლხიდას“ აწყობდნენ, თბილისის საბჭოში მაშინ მოკალათებულმა შენიღბულმა ხალხის მტრებმა ისე მოაწყეს საქმე, რომ სასტუმროს გახსნის შედეგად უნდა შევიწროვებულიყვნენ ჩელუსკინელების ქუჩაზე მდებარე სახლის № 35 მობინადრენი. სასტუმრო მოაწყეს, გახსნეს და ამავე დროს ამ სახლის ეზო გააუქმეს, ეზოში ჩასასვლელი კიბე დაანგრიეს, საერთო სარგებლობის საპირფარეშო აიღეს და სხვ.

იმ ხანებში მობინადრეებმა მრავალჯერ მიმართეს თბილისის საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, ამჟამად გამომჟღავნებულ ხალხის მტერს, მაგრამ აბა რას გააკეთებდა საზიარო იგი, როცა მობინადრეთა შევიწროვება სწორედ მისივე მითითებით მოხდა.

ამასწინათ მობინადრეებმა ხელახლა მიმართეს თბილისის საბჭოს პრეზიდიუმს, რომელმაც დაავალა სასტუმრო „კოლხიდის“ დირექციას დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს მობინადრეთა პრეტენზიები და ერთი თვის განმავლობაში აღადგინოს გაუქმებული ეზო იმ სახით, როგორც იგი წინათ იყო.

## სუბტროპიკების ახალგაზრდა სპეციალისტები

სუბტროპიკულ კულტურათა სოხუმის საკავშირო ინსტიტუტმა წელს ჩვენს ქვეყანას მისცა 100 ახალგაზრდა სპეციალისტი სუბტროპიკული მეხილეობისა და ლანდშაფტურ-დეკორატიული განხრით.

სახელმწიფო-საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორის პროფ. ტ. კვარაცხელიას დახასიათებით, კურსდამთავრებულებმა გამოიჩინეს თავისი საქმის ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა. სუბტროპიკული ფაკულტეტის 80 კურსდამთავრებულიდან სახელმწიფო გამოცდები ფრიადზე ჩააბარა 38 კაცმა, დეკორატიულ ფაკულტეტზე—6 კაცმა.

კურსდამთავრებულთა შორის საუკეთესო მომზადებით თავი ისახელეს გ. მანაგაძემ, ტ. ბურჭულაძემ, ე. სელუნსკიმ, დ. დაუგულმა, ი. ზახარენკომ, ა. კარტაშოვმა, ი. კამკიამ, ა. კუნკომ, მ. ტარბამ, მ. მედვედსკიმ, ი. შვერინამ, ო. აზარევიჩმა, ნ. ვასილიევამ, ა. გრაბოვმა, ე. გუკოვსკაიამ, თ. დელუსტომ, ხ. ჯიჯიხიამ, თ. კუზნერმა, კ. კარმანოვმა, ლ. ნააზერმა, გ. ტოლმაჩოვმა, ო. ცხომარიამ, ბ. შატილინმა, ა. აბზიანიძემ, მ. ღვინჯილიამ, ვ. გეგეჭკორმა, შ. გობრონიძემ, დ. კირთაძემ, რ. ლაგვილავამ, დ. მოისწრაფიშვილმა, ზ. მელაძემ, კ. ოდიშარიამ, პ. რუხაძემ, შ. რუხაძემ, ე. სეკანიამ, ა. ცეკვავამ, თ. ზალიზნიაკმა, ლ. კუკულავამ და კ. ჩერნიშენკომ.

ამ ამხანაგებს მიეცათ პირველი ხარისხის დიპლომები. ყველა კურსდამთავრებული განაწილებულია სამუშაოდ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა წარმოებებში. ისინი თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავების საქმეში.

## ლიტერატურული კონცერტი

საქართველოს ფილარმონიისა და ესტრადის სახელმწიფო გაერთიანება 6 იანვარს, საღამოს 9 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში აწყობს ქართველი ხალხის გენიალური პოეტის შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ კონცერტს. პროგრამაშია „ვეფხის-ტყაოსნის“ ლიტერატურული კომპოზიცია. პოემის ნაწყვეტებს რუსულ ენაზე წაიკითხავს მხატვრული კითხვის ოსტატი სურენ კოჩარიანი.

ს. კოჩარიანი ორი წელიწადი მუშაობდა „ვეფხის-ტყაოსნის“ ლიტერატურულ კომპოზიციაზე. მუშაობა ფრიად რთული და პასუხსაგები იყო. პოემის (რომელიც შვიდი ათას სტრიქონს შეიცავს) ერთ საღამოს წაკითხვა ყოვლად შეუძლებელია. კიდეც რომ მოხერხდეს ეს, ამას ვერავითარი მსმენელი ვერ აიტანდა.

მაშასადამე, საჭირო იყო მთელი მასალის ისე დალაგება, რომ ერთი მხრივ ის ადვილად ასათვისებელი ყოფილიყო მსმენელისათვის, ხოლო მეორე მხრივ პოემას არ დაეკარგნა თავისი არქიტექტონიკა, სიუჟეტურ განშტოებათა მთელი სისრულე; ამავე დროს საჭირო იყო სიტუაციების დრამატურგიულად გამახვილება, ამბების თხრობაში დინამიურობის შეტანა, პოემის მთავარი გმირების აზრთა, გრძნობათა და ქცევათა მთავარი ხაზის წინა პლანზე წამოწევა.

ს. კოჩარიანმა გამოსავალი ჰპოვა პოემის ხალხურობაში. პოემის ნამდვილმა ხალხურმა ხასიათმა უკარნახა მას მისი გადაცემის ხალხური ფორმაც.

ყველა დროისა და ხალხის აშუღები, განსაკუთრებით ამიერკავკასიაში, თავის თხრობას აწარმოებენ პროზად, მნიშვნელოვან ადგილებს კი ასრულებენ სიმღერით ანდა რეჩიტატივით, ე. ი. ლექსად.

ს. კოჩარიანიც პრინციპულად ასევე იქცევა, მხოლოდ პირუკუ გზით: მთელ თხრობას ის აწარმოებს ლექსად, პროზად კი ასრულებს მხოლოდ მეორეხარისხოვან (ფაბულის მხრივ) ადგილებს.

ს. კოჩარიანს გადაწყვეტილი აქვს „ვეფხის-ტყაოსნის“ მხატვრული კითხვა მოაწყოს საბჭოთა კავშირის ყველა მნიშვნელოვან ცენტრში. თბილისში მოეწყობა მისი რამდენიმე გამოსვლა. აქედან ის მიემგზავრება ბაქოში, კიევში, ხარკოვში, მოსკოვში, ლენინგრადში და შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში.



გრეიფრუტი თავის ახალ სამშობლოში — ფოთის საბჭოთა მეურნეობაში საუკეთესო ნაყოფს იძლევა.
**სურათზე:** ამხ. ლომაია ჰკრეფს გრეიფრუტს.

## გერანის ზეთი

**ოჩემჩირე,** 30 დეკემბერი (საქდესი). ოჩემჩირის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს მიაღწიეს გერანის ჩინებულ მოსავალს და გერანის ზეთის დიდ გამოსავალს. გეგმით რაიონში გათვალისწინებული იყო 1635 კილოგრამი ზეთი. გადამუშავებული და სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 1650 კილოგრამი გერანის ძვირფასი ზეთი.

## ბავშვები დასასვენებელ სახლებში

საქართველოს პროფკავშირებმა მშვენიერი საჩუქარი მოუმზადეს მოწაფეებს საზამთრო არდადეგებისათვის. ქობულეთისა და ბითანიის დასასვენებელი სახლები, რომლებიც ჩვეულებრივად ზამთრობით არ მუშაობენ, დაეთმოთ ბავშვებს. ისინი აქ გაატარებენ არდადეგებს.

პროფკავშირებმა ბითანიაში გაგზავნეს 60 ბავშვი—თბილისის სკოლების მოწაფეები, რომელთაც ახლავთ 6 პედაგოგი. დასასვენებელ სახლებში ბავშვები დარჩებიან 12 იანვრამდე. აქ მათ ექნებათ გაძლიერებული კვება და იქნებიან ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ.

2 იანვარს ბავშვებს გაუმართეს საახალწლო ნაძვის ხე. ბედნიერ ბავშვთა დღესასწაული გვიან ღამემდე გაგრძელდა.

150-ზე მეტი ბავშვი გაიგზავნა დასასვენებლად „შავი ზღვის ნაპირზე—ქობულეთის“ დასასვენებელ სახლში. მათაც გაჰყვა პედაგოგების ჯგუფი. ისე როგორც ბითანიის დასასვენებელ სახლში, ქობულეთის ბავშვებიც მიიღებენ გაძლიერებულ კვებას და იქნებიან ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ. ქობულეთში დამსვენებელ ბავშვებსაც გაუმართეს საახალწლო ნაძვის-ხე.

პროფკავშირებმა დასასვენებელ სახლებში სულ გაგზავნეს 200-ზე მეტი ბავშვი 12-დან 16 წლამდე. ყველაზე მეტი საგზური მოწაფეებისათვის შეიძინა მძიმე მრეწველობის მშენებელ მუშათა პროფკავშირმა—100 საგზური; რკინიგზის პროფკავშირების საგზაო კომიტეტმა დასასვენებელ სახლებში გაჰგზავნა 28 ბავშვი, საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირმა—54, მკერავებმა—24.

## საზეიმო საღამო სამხატვრო აკადემიაში

დღეს, 5 იანვარს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში გაიმართება უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი საიუბილეო საზეიმო საღამო.

შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებას წაიკითხავს პოეტი რუსთველოლოგი კ. ჭიჭინაძე. მოხსენების შემდეგ გაიმართება მხატვრული განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობები და ადგილობრივი თვითმოქმედი წრეების მონაწილენი.

აკადემიის დარბაზში გამოფენილი იქნება აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრები შოთა რუსთაველის თემებზე. ნამუშევართა შორის აღსანიშნავია მესამე კურსის სტუდენტების: ს. ნიაურის — შოთა რუსთაველის პორტრეტი, ნ. ჩიქოვანის — „ნესტან დარეჯანი“, ალ. კუციას — „ტარიელი“, დ. გაბაშვილის, ყიფიანის, ზარდიაშვილის, ჯავრიშვილის, ზარქუას, მებუკეს და სხვათა სურათები.

## ბოროტმოქმედებანი საბინაო ამხანაგობათა კავშირში

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულებით ამასწინათ ჩატარდა თბილისის ქალაქის საბინაო ამხანაგობათა კავშირის საქმიანობის ნაწილობრივი რევიზია, რომელმაც გამოარკვია, რომ ამ ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ბოროტმოქმედებებს.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ამ რევიზიის შედეგების შესახებ. პრეზიდიუმმა დაადგინა: სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის მოიხსნას თანამდებობიდან და მიცემულ იქნას პასუხისგებაში თბილისის საბინაო ამხანაგობათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე მოქ. გუკასოვი, მოიხსნას თანამდებობიდან მთავარი ბუხჰალტერი მუსერიძე და მისი საქმე გადაეცეს პროკურორს, პროკურორსვე გადაეცეს დამამზადებლების აბაიზაძისა და გვილავას საქმე მათი პასუხისგებაში მისაცემად, სასტიკი საყვედური გამოეცხადოს კავშირის გამგეობის წევრს ბურაკოვსკის. გადასწყდა ახლო ხანში მოხდინონ ამ ორგანიზაციის მუშაობის უფრო დეტალური რევიზია.

## ფეხბურთი

### თეატრების ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება

ხელოვნების მუშაკთა კავშირი ამჟამად ატარებს მის სისტემაში შემავალი ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრებას. სხვა გუნდებთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ რუსთაველის თეატრის, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის და მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრის ფეხბურთელთა გუნდები.

3 იანვარს ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რუსთაველის თეატრის და მოზარდთა თეატრის გუნდები. თამაში მოიგეს მოზარდ მაყურებელთა თეატრის ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0.

დღეს, 5 იანვარს, „სპარტაკის“ მოედანზე (ვაკე) შესდგება გათამაშების ფინალი. თამაშობენ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის და მოზარდთა თეატრის გუნდები.

**ნ. კოპალიანი**

## შემთხვევები

— **ავტომოჯირითის მსხვერპლი.** 3 იანვარს ავტომანქანა № 14—94, რომელსაც მართავდა შოფერი ვ. ვ. კაზარიანი, კალიაევის აღმართზე დაეჯახა ტრამვაის მოძრაობას მომწესრიგებელს დ. ფ. კაკულიას (ნადიკვარის შესახ. № 5). კაკულია სასიკვდილოდ დაშავდა. გაქანებული ავტომანქანა შოფერმა ველარ შეაკავა, და იგი გაჩერებულ ტრამვაის ვაგონს დაეჯახა. მანქანა და ვაგონი დაზიანდნენ. შოფერი კაზარიანი დაპატიმრებულია.

— **ფარული სასაკლაო.** მილიციის მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ფარული სასაკლაო, რომლის პატრონი იყო ვინმე მამისთვალოვი (რიყინაშვილის ქ. № 6). მამისთვალოვი სისტემატურად ყიდულობდა კერძო ბაზარზე პირუტყვს, ჰკლავდა და ხორცს ვეტექიმის შეუმოწმებლად ჰყიდდა. გასინჯვის დროს მამისთვალოვს აღმოაჩნდა ფარულად დაკლული 5 ცხვარი. მამისთვალოვი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

## პარტკალენდარი

5 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროპსემინარის მორიგი მეცადინეობა. პროპაგანდისტების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის საკანდიდატო ბილეთი № 0716368, გაცემული სოლომონ დიმიტრის-ძე ფილაურის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი
**კ. შეროზია**

## ჩვენ გვწერენ

### ვინ ჰფარველობს მატინოვს?

თბილისში კლარა ცეტკინისა და ყოფ. ბელგიის ქუჩის კუთხეში თბილმრეწვაჭრობას გახსნილი აქვს სავაჭრო საპროდუქტო წერტი, რომელსაც ყოფილი ვაჭარი არშაკ მატინოვი „განაგებს“.

წერტი ვაჭრობს ხორცით, კარტოფილით, ბრინჯით და სხვ.

დღემდის წერტს არა აქვს არც აბრა, არც ნომერი და არც თბილმრეწვაჭრობა უწევს კონტროლს, რაც საშუალებას აძლევს მატინოვს თავნებურად აწარმოოს ვაჭრობა.

მატინოვი ვაჭრობაში გაქნილია. ის პროდუქტებს სპეკულანტურ ფასებში ჰყიდის. მაგალითად, ნოემბერში მან 2 ტომარა კარტოფილი კილო 40 კაპიკზე მეტ ფასად გაჰყიდა.

1936 წელს მატინოვი მოხსნილი იყო სამუშაოდან ფასების საბჭოთა პოლიტიკის დამახინჯებისათვის, მაგრამ როგორღაც აღიდგინა თავი და დღემდის განაგრძობს პარპაშს.

საკვირველია, რატომ ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას თბილმრეწვაჭრობის ადმინისტრაცია?

დროა ბოლო მოეღოს მატინოვის პარპაშს. თბილმრეწვაჭრობამ უნდა გარდაჰქმნას აღნიშნული წერტის მუშაობა და უზრუნველჰყოს იგი პატიოსანი გამყიდველით.

**მ. სირაძე**
**გ. დოლენჯაშვილი.**

## ცამეტნი

კავშირგაბმულობის ზოგიერთი განყოფილება თბილისში მოუქნელად მუშაობს. არ ხდება ჟურნალ-გაზეთების დროულად დარიგება, რის გამო მოსახლეობა სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამს.

მაგალითისათვის მოვიყვან თბილისის საფოსტო კანტორის საქმიანობას. ის თავის განყოფილებებს ჟურნალ-გაზეთებს ავტომანქანით [illegible]

[illegible] ლად ჰყავს 13 რომლებიც უკმაყოფილებას გამოსთქვამენ დირექციის მიმართ.

1936 წლიდან დღემდე 13 დამტარებელს ერგება 1.100 მანეთი ზედმეტი საათების ნამუშევარი, რაც დღესაც არ მიუღიათ.

საინტერესოა, რატომ უნდა ხდებოდეს მუშების ასე აბუჩად აგდება, ვის ფონდს ხმარდება დამტარებლე- [illegible]


თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
5/I დღისით ნაძვის ხე საჩუქრებით დასაწყ. 12 საათზე
5/I მუდმ. ადგ. ტალ. № 66 საღამოს კარმენ
6/I დღისით ნაძვის ხე საჩუქრებით
დასაწყისი საღ. 8 საათზე.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი
5/I წარმოდგენა 67 ნაპერწკლიდან
6/I წარმოდგენა 72 გმირთა თაობა
9/I წარმოდგენა 68 ნაპერწკლიდან
დასაწყისი საღ. 8 საათზე.
10 იანვრიდან დარიგდება მუდმივი ადგილების ბილეთები, ვისაც მე-3-ე გადასახადი არ ეძნება გადახდილი ბილეთები არ მიეცე ა. ბილეთების გაცემა სწარმოებს თეატრის ბუხჰალტერიაში [illegible]

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
ზამთრის არდადეგებთან დაკავშირებით დილის წარმოდგენები
6 იანვარი ნაპერწკლიდან
11 იანვარი ფიგაროს ქორწინება
12 იანვარი იცკა რიქინაშვილი
დასაწყისი დილის 12 საათზე. სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ბილეთები 50 პროც. ფასდაკლებით (1 მან. 50 კაპ. – 5 მან.). 2

ესტრადის სახელმწიფო თეატრი
პლეხანოვის პროსპექტი, № 123, ტელეფონი 3-02-29
5 და 6 იანვარს ტალონები № 5 და 6 ესტრადა ახალი პროგრამა 3 განყოფილებად დაწვრილებით აფიშებში ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღ. 8 ს 30 წ.
6 იანვარს ესტრადის საბავშვო თეატრის გახსნა სპეციალური მხ ტვრული პროგრამით ნაძვის ხე საჩუქრებით
ბილეთი 2 მან. სალარო ღიაა დილის 11 საათიდან დასაწყ. დღის 1 ს.
7 იანვარს შოთა რუსთაველის საღამო.
მუდმივი ადგილების ვადაგასული ტალონები სხვა საღამოებზე ძალაში არ არის.

სახცირკი. ტელ. 3-11-44
დღეს, 5 იანვარს, საახალწლო წარმოდგენა. დიდი მრავალფეროვანი პროგრამა 3 მოქმედებად. გამოსვლა ლილიპუტების მუსიკალურ-ექსცენტრიული დასისა კინო-ჯაზი 25 კაცის მონაწილეობით. დასაწყ. 8 ს. 30 წ. სალარო ღიაა 12-დან 2 ს. და 5 ს-დან.
6 იანვარს დღისით წარმოდგენა კინო ჯაზის მონაწილ. დ. საწყ. დღის 12 ს.

ექიმი მ. ბ. შახნაზაროვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება. კანის და ვენერიული სნეულებანი. მიღება დილით 10-დან $12^1/_2$ ს-მდე; საღამოს—5-დან 9 ს-მდე. კრასნოგორსკის ქ. № 33 შესავალი სადარბაზო კარიდან.

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91
დიდი ხმოვანი მხატვრული ფილმი ლენინი ოქტომბერში
[illegible]



საქ. სსრ შინსახკომის ზომა-წონის განყოფილება
ამით უცხადებს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ, სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციებს, აგრეთვე კერძო პირთ, რომ 1938 წელს მოქმედების ვადა უთავდება იმ საზომ-საწონებს (სასწორები, საწონები, მეტრები, ლიტრები, ელექტრომრიცხველები და სხვ.), რომლებიც გასინჯული და დადაღულია 1936 წ. და ადრე.
ამიტომ, თანახმად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 9 სექტემბრის დადგენილებისა, აღნიშნული საზომ-საწონები, ხელსაწყოები უკანონოდ ჩაითვლება და მათი ხმარება სახალხო მეურნეობაში გამოიწვევს დაჯარიმებას 300 მანეთამდე.
შენიშვნა: სასწორები ციფერბლატიანი, ავტომატური, ნახევრად-ავტომატური. მანომეტრები, ვაკუმეტრები, თერმომეტრები, სამედიცინო, საბეითალო, საინკუბატორო, პურკები და სხვ. წარმოდგენილ უნდა იქნას წელიწადში ერთხელ.
აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში და ქალაქ ქუთაისში ჩვენი განყოფილების მიერ ვადები ცალკე იქნება გამოცხადებული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გამოყოფილი იქნება სპეციალური დროებითი განყოფილებები.
ზომა-წონის განყოფილების თანაბრად დატვირთვის მიზნით, ზემოთაღნიშნული საზომ-საწონების გასინჯვა-დადაღვისათვის ქ. თბილისში [illegible]
1/II—31/I—1938 წ.
1/II—28/II —
1/III—31/III —
1/IV—31/V —
1/V—31/V —
[illegible]


[illegible]